ახალშენის ეკლესიის დღესასწაული

ქუთაისის ეკლესიის დღესასწაული

ნიკოლოზობა და საადვენტო დღეები ვალეში

მინისტრანტები ბაკურიანში

სპეტ

№1(193)
იანვარი
2012

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

„აჰა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება: ვინაიდან დღეს თქვენთვის იშვა მაცხოვარი“
(ლუკა 2, 10-11)

შობა 2011

„ნუ გეშინიათ. აჰა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება: ვინაიდან დღეს თქვენთვის იშვა მაცხოვარი“ (ლუკა 2, 10-11).

ჩვენთვის დღეს, შობის ამ პერიოდში, ახლდება იგივე უწყება სიხარულისა ***„მთელი ხალხისათვის“***; სწორედ ჩვენთვის, მრავალი შიშითა და წუხილით რომ ვართ მოცულნი.

პირველი უწყება ბეთლემში მოხდა იმ ხალხისათვის, რომელსაც მცირეოდენი მიზეზი თუ ჰქონდა სიხარულისა, რომელსაც გაუსაძლის პირობებში უხდებოდა ცხოვრება; პოლიტიკური თვალსაზრისით, რომის მონობის უღელქვეშ იმყოფებოდა (მოსახლეობის აღწერაც კი იყო კონტროლისა და ექსპლუატაციის მეთოდი); შელახული იყო ამ ხალხის რელიგიური გრძნობები ათასგვარი აკრძალვითა და ნორმით, რაც ზღუდავდა მათ თავისუფლებას და უწამლავდა სიცოცხლეს.

ამ უწყალო, მკაცრ საზოგადოებაში მაინც უძლიერესი იყო მოლოდინი, მოლოდინი მესიისა, რომელიც ბოლოს და ბოლოს გაათავისუფლებდა ხალხს ყოველგვარი მორალური და პოლიტიკური მონობისაგან და დაამკვიდრებდა ღვთის მეუფებას.

უწყება მხსნელზე პასუხობს ამ მოლოდინს. თუმცა საკვირველია ის, რომ ღვთის მეუფება ასეთი შეუფერებელი გზებით შეიძლებოდა მოსულიყო: ბავშვის დაბადება ბაგაში, ძლევამოსილ სასახლეთაგან შორს, სიღარიბეში; უარყოფილი, რომელსაც შეეგებნენ მწყემსები – კატეგორია გარიყული, არასანდო, მიუღებელი ადამიანებისა.

სკანდალურია და ძნელად მისაღები ეს გადატრიალება. მაგრამ თუ ეს არ არის ზღაპარი, აქ იწყება ახალი ისტორია, ისტორია, რომელიც არ ეკუთვნის მას, ვინც თავს იწონებს სიმდიდრით, არამედ უკანასკნელებს: უკანასკნელებს, რომლებიც არიან პირველები.

მრჩება შთაბეჭდილება, რომ, იესოს ეპოქისაგან განსხვავებით, გვაკლია ლოდინის, იმედის, მომავლისადმი სწრაფვის უნარი. თითქოს ჩვენს დღევანდელობაში შეუძლებელია რაიმეს მოლოდინი; უსასოო სკეპტიციზმი, ნიჰილიზმი მძლავრობს. რამდენჯერ მსმენია: „არაფერი შეიცვლება, აღარაფერი მაინტერესებს“! რა თქმა უნდა, პირადულ დონეზე ლამაზი მოლოდინებიც არსებობს: შვილის, მისი აღზრდის მღელვარე მოლოდინი, სამსახურის მოლოდინი, სიყვარულის მოლოდინი... კი მაგრამ „მთელი ხალხისათვის სიხარულის“ მოლოდინი? აი, ეს კი გვაკლია, და საჭიროა მისი მოპოვება.

რა თქმა უნდა, საუბარი არაა ახალი მესიის მოლოდინზე (ეს ყველაზე დიდი შეცდომა იქნებოდა და დიდი ცდუნებაც), არამედ იმაზე, რომ მივაპყროთ მზერა მას, რაც არის ჭეშმარიტი და დიდი, რომ ვიყუროთ პასუხისმგებლობით, მომავლისადმი პასუხისმგებლობით, ვირწმუნოთ, რომ საჭიროა ცხოვრებისადმი სერიოზული მიდგომა, არ ვცადოთ თავისმართლება, ან რაიმეს სხვაზე გადაბრალება, სხვების კეთილდღეობა და სიხარული ჩემი კეთილდღეობა და სიხარული უნდა იყოს. მოლოდინი ნამდვილია, როცა გამსჭვალულია პასუხისმგებლობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ნარკოტიკად იქცევა.

„მოლოდინის მიხედვით შეიცნობა ადამიანი, ჩვენი ზნეობრივი და მატერიალური ღირებულება იზომება იმის მიხედვით, თუ რას ველით, თუ რისი იმედი გვაქვს“ (ბენედიქტე XVI). რაც უფრო ნაკლებია მოლოდინი, მით უფრო ქვავდება გული!

„სიხარული მთელი ხალხისათვის“ – იესოს შობას რატომ ჰქვია „მთელი ხალხის სიხარული?“ იმიტომ რომ უზრუნველყოფს იმას, რომ ღმერთი, რომელიც არის სიყვარული, შეუღლდა ჩვენს ადამიანობასთან, გახდა ახლობელი, იქცა ადამიანად, ერთ-ერთ ჩვენთაგანად: „ემანუელე“, და გვათავისუფლებს შიშებისაგან („ნუ შეშინდებით“), უპირველესი შიშისგანაც კი, რომელსაც სიკვდილის შიში ჰქვია... ესაა შობის უდიდესი უწყება!!! გული პოულობის იმას, რასაც ყველაზე მეტად ელის და ივსება სიხარულით!

ვფიქრობ იმ ადამიანების მწუხარებაზე, რომლებიც თვალცრემლიანი არიან, რადგან უღალატეს, მარტონი დარჩნენ, დამარცხდნენ, უახლოვდებათ სიკვდილის ანგელოზი. და მაინც, სიხარულის უწყება ძირითადად მათთვისაა. „ახლოა უფალი გულმოდრეკილებთან“ (ფსალმ. 33,19), აქედან გამომდინარე და მათზე ფიქრებით, ვუმეორებ ყველას ანგელოზის სიტყვებს უფლის შობისას: „ნუ გეშინიათ. აჰა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება: ვინაიდან დღეს თქვენთვის იშვა მაცხოვარი“ (ლუკა 2, 10-11).

ნათელმა გადმოიხედა ქვემოთ და დაინახა წყვდიადი.
„იქ მინდა ჩასვლა”, – თქვა ნათელმა.
მშვიდობამ გადმოიხედა ქვემოთ და დაინახა ომი.
„იქ მინდა ჩასვლა”, – თქვა მშვიდობამ.
სიყვარულმა გადმოიხედა ქვემოთ და დაინახა სიძულვილი.
„იქ მინდა ჩასვლა”, – თქვა სიყვარულმა.
ასე გამოჩნდა ნათელი და გაიბრწყინა.
ასე გამოჩნდა მშვიდობა და მოიტანა სიმშვიდე.
ასე გამოჩნდა სიყვარული და მოიტანა სიცოცხლე.
„და სიტყვა იქცა ხორცად და დაემკვიდრა ჩვენს შორის”.

ბედნიერ შობას ვისურვებთ!

ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრატორი,
ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტი

1 იანვარი – მშვიდობის მსოფლიო დღე

„ახალგაზრდების აღზრდა სამართლიან და მშვიდობიან გარემოში“, – ეს თემა შეირჩა პაპი ბენედიქტე XVI-ის მიერ მშვიდობის 45-ე მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, რომელიც 2012 წლის 1 იანვარს აღინიშნება. მოცემული თემა, მთელი თავისი არსით, მოიცავს დღევანდელი მსოფლიოსათვის ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიცაა: ახალი თაობის მოსმენა და მათი დაფასება საერთო სიკეთის რეალიზებისათვის, სამართლიანი, მშვიდობიანი საზოგადოების შესაქმნელად, სადაც სრულიად იქნება გამოხატული და ხორცშესხმული ადამიანის ფუნდამენტური უფლება და თავისუფლება. აქედან გამომდინარე, ახლანდელი თაობის ვალია, მომავალ თაობას შეუქმნას ახალ სამყაროში პასუხისმგებლობის გრძნობით ცხოვრების პირობები. ეკლესია ახალგაზრდებს წარუდგენს იესოს, როგორც სიყვარულის წყაროს, ვინც „ყოველივეს განაახლებს“. მიმართვაში ხაზგასმულია მოწოდება ახალგაზრდებისა საყოველთაო პასუხისმგებლობისაკენ, რათა მათ ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ საჯარო დაწესებულებებში ბატონობდეს უზენაესი ჰუმანიზმით აღსავსე კანონები, რათა ახალ თაობას მიეცეს სრული თვითრეალიზების საშუალება ძმური და სიყვარულით გაჯერებული საზოგადოების შესაქმნელად, რომლისთვისაც წარმმართველი იქნება ჭეშმარიტება, სიყვარული, თავისუფლება და სამართლიანობა. ამ თვალსაზრისით, პაპის მიერ შერჩეული თემა „პროფეტიკულ ხასიათს“ ატარებს და იმ „სამშვიდობო პედაგოგიკის“ ხნულში თავსდება, რაც იოანე პავლე II-მ გაკვალა 1985 წელს (მშვიდობა და ახალგაზრდები ერთად მიაბიჯებენ), 1979 წელს (როგორ დავამყაროთ მშვიდობა, აღზრდა მშვიდობიან გარემოში) და 2004 წელს (მარად აქტუალური მოვალეობა: აღზრდა მშვიდობიან გარემოში). ახალგაზრდები სამართლისა და მშვიდობის მუშაკებად უნდა იქცნენ ჩვენს დღევანდელ გლობალურ და კომპლექსურ მსოფლიოში, რაც აუცილებელს ხდის ყველა პასუხისმგებელი პირის ახალ „პედაგოგიურ ალიანსს“.

მოცემული თემა ერთგვარად აგრძელებს ბენედიქტე XVI-ის სწავლებას, რომელიც აისახა ჭეშმარიტების ნიშნით დაწყებულ მშვიდობის მსოფლიო დღის აღსანიშნავ მიმართვაში (2006: მშვიდობა ჭეშმარიტებით), და გაგრძელდა ფიქრით ადამიანის ღირსებაზე (2007: პიროვნება – მშვიდობის გული), ოჯახზე (2008: ოჯახი – მშვიდობის საკრებულო), სიღარიბეზე (2009: ებრძოლეთ სიღარიბეს, დაამყარეთ მშვიდობა), ქმნილების დაცვაზე (2010: თუ გინდა, მოიპოვო მშვიდობა, დაიცავი ქმნილება), და რელიგიურ თავისუფლებაზე (2011: რელიგიური თავისუფლება – გზა მშვიდობისაკენ), ამჯერად იგი ახალგაზრდების გონებას და მათ გულებს მიმართავს შემდეგი მოწოდებით (სწავლებით): „ახალგაზრდების აღზრდა სამართლიან და მშვიდობიან გარემოში“.

განცხადება

სამოციქულო ადმინისტრაცია და წმიდა საყდრის სადესპანო (ვატიკანის საელჩო) საქართველოში აცხადებენ, რომ საქართველოს სახელმწიფო საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული და საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წლის 5 ივლისს ხელმოწერილი კანონის თანახმად, იურიდიულად დაარეგისტრირა კათოლიკური ეკლესია, თავისი სხვადასხვა დენომინაციით.

საქართველოს კათოლიკეთათვის იურიდიული სტატუსის მინიჭება მნიშვნელოვანი მოვლენაა, რისთვისაც სადესპანო გამოხატავს წმიდა საყდრის მადლიერებას ყველა მათ მიმართ, ვინც ამ მოვლენის განხორციელებას შეუწყო ხელი.

წმიდა საყდრის სადესპანო საქართველოში აღნიშნულ მოვლენას აფასებს რელიგიური ჰარმონიისა და თანამშრომლობისაკენ, მთელი ქვეყნის სასიკეთოდ გადადგმულ ნაბიჯად.

Apostolic Administration end the Apostolic Nunciature (Vatican Embassy) in Georgia announces that the registration of the Catholic Church in Georgia, with its various denominations, has been accomplished by the National Agency of Public Registry, according to the law approved by the Parliament of Georgia and ratified by the President of Georgia on the 5th of July 2011.

For the important achievement of granting a legal status to Catholics in Georgia it acknowledges the contribution of those who made it possible and expresses the gratitude of the Holy See to all of them. The Apostolic Nunciature recognizes this as a further step on the way of religious harmony and cooperation for the good of the whole Country.

„კათოლიკეები და მართლმადიდებლები ერთი და იმავე გამოწვევების წინაშე“

ბენედიქტე XVI-ის მიმართვა კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი, წმიდა ანდრეას დღესასწაულთან დაკავშირებით



წმიდა ანდრეას დღესასწაულთან დაკავშირებით, პაპმა ბენედიქტე XVI-მ კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსს, ბართოლომეო I-ს განსაკუთრებული მილოცვის ტექსტი გაუგზავნა. წმ. ანდრეა ხომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მფარველია და, წესისამებრ, ამ მოციქულის დღესასწაულის დღეს, ისევე როგორც წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ხსენების დღეს, რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიები თავ-თავიანთ დელეგატებს აგზავნიან შესაბამის საყდრებში საკუთარი მოწიწების დასტურის ნიშნად. ამჯერად, ვატიკანის დელეგაციას მეთაურობდა კარდინალი კურტ კოხი, ქრისტიანთა ერთობის განვითარების პაპის საბჭოს პრეზიდენტი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ფანარის საპატრიარქო ტაძარში გამართულ საზეიმო წმ. წირვაში, რომელსაც ბართოლომეო I უძღვებოდა. კარდინალი შეხვდა პატრიარქს და ესაუბრა სინოდის კომისიას, რომელსაც კათოლიკე ეკლესიასთან ურთიერთობების მოგვარება ევალება. კარდინალმა კოხმა მსოფლიო პატრიარქს, ძღვენთან ერთად, წმიდა მამის ხელმოწერილი მიმართვა გადასცა, რომელიც, წმ. ლიტურგიის დასასრულს, საჯაროდ წაიკითხეს. კარდინალი ასევე შეხვდა ადგილობრივი კათოლიკური საკრებულოს წარმომადგენლებს და ეკუმენიზმზე ესაუბრა ქალაქის სასულიერო პირებს, ბერ-მონაზვნებს.

„გულში კვლავ ცოცხლად ვინახავ მოგონებას, – წერდა პაპი თავის მიმართვაში, – ჩვენს უკანასკნელ შეხვედრაზე, როდესაც მშვიდობის მომლოცველებად ერთად შევიკრიბეთ ქალაქ ასიზში; ვფიქრობ იმ ღრმა ურთიერთობაზე, რაც ამქვეყნად ჭეშმარიტებისა და ღმრთის, მშვიდობისა და სამართლიანობის გულწრფელ ძიებას აკავშირებს“. შემდეგ წმიდა მამა აშკარად აქტუალურ თემას შეეხო. „ამჟამინდელი გარემოება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, ეკოლოგიური კუთხით, – განაცხადა ბენედიქტე XVI-მ, – კათოლიკეებისა და მართლმადიდებლების წინაშე ზუსტად ერთსა და იმავე გამოწვევებს აყენებს, – ანუ სახარების უფრო მეტი ძალისხმევით ქადაგების საჭიროებას იმ რეგიონებში, სადაც დღეს სეკულარიზაციის შედეგებს მწვავედ განიცდიან, რაც ადამიანს ართმევს თავისი არსებობის ყველაზე ღრმა საზრისს“. ამრიგად, კათოლიკეებმა და მართლმადიდებლებმა უნდა აჩვენონ, რომ მიაღწიეს „რწმენის სიმწიფეს“, რითაც შეძლებენ „ჭეშმარიტების ერთად ძიებას, იმ ღრმა შეგნებით, რომ ევანგელიზაციის მომავალი საეკლესიო ერთობასა და სიყვარულზეა დამოკიდებული. ამას გვასწავლის ქრისტე თავის ლოცვაში: „რათა ყველა ერთი იყოს... რათა ირწმუნოს სოფელმა“ (იოანე 17,21), – დასძინა პაპმა.

რომის ეპისკოპოსმა, პატრიარქ ბართოლომეო I-ის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით, „დიდი იმედი“ გამოთქვა იმის თაობაზე, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქის უმთავრესი საეკლესიო მოვალეობა ამ ოცი წლის მანძილზე იყო ის, რომ „მარად ჟამს შესტკიოდა გული ეკლესიის მოწმეობაზე და თანამედროვე მსოფლიოში მის სიწმინდეზე“. ასევე, იმედი გამოთქვა, რომ, პირადად და რომის ეკლესიის სახელით, ილოცებდა „მსოფლიოში მშვიდობისათვის, ეკლესიის მომავლისა და ქრისტესმიერი ძმების ერთობისათვის“; ბენედიქტე XVI-მ ისურვა, რათა „შეგვეწიოს მადლი უფლისა მშვიდობისა და შემრიგებლობის გზაზე“.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი წევრი

5 დეკემბერს წმიდა საყდარი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ამ ნაბიჯის მნიშვნელობაზე ვატიკანის რადიოს კორესპონდენტს გაეროში წმიდა საყდრის მუდმივი დამკვირვებელი, მთავარეპისკოპოსი სილვანო ტომაზი ესაუბრა: „დღეს, როდესაც მთელ მსოფლიოში ასე დიდია მიგრანტებისა და ლტოლვილების ნაკადი, საჭიროა ჩვენი მონაწილეობა საერთაშორისო საზოგადოებრიობის ძალისხმევაში, წმიდა საყდარის განსაკუთრებული წვლილი, ეთიკური ხმა. უკვე დიდი ხანია, კათოლიკე ეკლესია, საქველმოქმედო ორგანიზაციათა ქსელის მეშვეობით, ჩართულია მიგრანტთა დახმარების საქმეში. მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ წმიდა საყდარმა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება გადაწყვიტა, რათა ხაზი გაუსვას თავის განსაკუთრებულ ინტერესს ამ მნიშვნელოვანი საკითხისადმი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ხმის უფლება, მაგრამ არა პოლიტიკური, არამედ წმინდა სოციალური თვალსაზრისით. როგორც აღვნიშნე, ეკლესიას უკვე აქვს მიგრანტთა დახმარების ქმედითი

საშუალებები. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა დროული და ლოგიკური ნაბიჯია ჩვენი მსახურების ეფექტურობის გაზრდისათვის“.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (International Organization for Migration) 1951 წელს დაარსდა და თავდაპირველად მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მიგრაციული პროცესების რეგულირებას ისახავდა მიზნად.

ომი თუ მშვიდობა?

14-15 დეკემბერს რომში, წმიდა თომა აქვინელის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა ინტერრელიგიური შეხვედრა თემაზე „ომი თუ მშვიდობა? სადავო წმიდა ადგილები“. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს აშშ-ს, ისრაელის, თურქეთის, ირანის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, უკრაინის ქრისტიანებმა, იუდეველებმა და მუსლიმებმა.

პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა, კონფლიქტის მოგ-

ვარების მოლოდინში, სხვადასხვა აღმსარებლობის მორწმუნეთათვის ძვირფასი სიწმიდეები, ჟამთასვლისა და სათანადო ზრუნვის ნაკლებობის გამო, სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. „წმიდა ადგილთა მოვლის საკითხი დღეს დიდ პრობლემას წარმოადგენს. თუმცა ამ პრობლემის განხილვა შეიძლება გახდეს საბაბი გულახდილი დიალოგისა სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა შორის“, – აღნიშნავენ შეხვედრის ორგანიზატორები.

მედიცინის მუშაკთა ქარტია

თანამედროვე მედიცინის რეალიათა გათვალისწინებით, ჯანდაცვის პონტიფიკალურმა საბჭომ 1995 წელს მიღებული „ჯანდაცვის მუშაკთა ქარტიის“ განახლება და შევსება გადაწყვიტა. როგორც აღნიშნა საბჭოს მდივნის მოადგილემ მამა აუგუსტო კენდიმ, პირველი ქარტიის მიღებისას ან არ არსებობდა, ან აქტუალური არ იყო პრობლემები, რომლებმაც დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს. მათ შორისაა ისეთი საკითხები, როგორიცაა ევთანაზია და ხელოვნური განაყოფიერება.

ქარტიის განახლებაზე, ღმრთისმეტყველებთან ერთად, მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები მუშაობენ. „ახალი ქარტია სასარგებლო ხელმძღვანელობა იქნება არა მხოლოდ მედიცინის მუშაკთათვის, არამედ პოლიტიკოსებისთვისაც. თუნდაც იმიტომ რომ, დღევანდელობის სხვა პრობლემათა შორის, ძალზე მწვავედ დგას რესურსების სამართლიანი განაწილების საკითხიც“, – აღნიშნა აუგუსტო კენდიმ.

კარიტასი ევროკავშირის ანტიკრიზისულ პროგრამას აკრიტიკებს

ორგანიზაციის ევროპული განყოფილება ევროკავშირის წევრი ქვეყნების ანტიკრიზისული პროგრამების კრიტიკით გამოვიდა. „სოციალური შეღავათებისა და ხელფასების შემცირება და, ამავდროულად, გადასახადების გაზრდა ყველაზე ძლიერ საზოგადოების უღარიბეს ფენებს დააზარალებს“, – განაცხადეს კარიტასის წარმომადგენლებმა ბრიუსელში, 13 დეკემბერს, – „კრიზისის დაძლევისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ეკონომიკური ზრდა. დაუშვებელია სოციალური განვითარებისა და გარემოს დაცვის უგულებელყოფა. უნდა გაძლიერდეს ბრძოლა სიღარიბესა და სოციალურ იზოლაციასთან“.

დევნილ ქრისტიანთა თანადგომის დღე

ეუთოს სხდომაზე, რომელიც 7 დეკემბერს, ვილნიუსში გაიმართა, წმიდა საყდრის საგარეო ურთიერთობათა სამდივნოს მეთაური დომინიკ მამბერტი დევნილ ქრისტიანთა თანადგომის დღის წინადადებით გამოვიდა.

„ქრისტიანთა დევნა ბევრ ქვეყანაში დღეს ჩვეულ მოვლენად იქცა; აშკარა ძალადობის გარდა, სხვადასხვა აღმსარებლობის ორას მილიონზე მეტი ქრისტიანი დღეს იურიდიულ და კულტურულ დისკრიმინაციასაც განიცდის. დევნილ ქრისტიანთა საერთაშორისო დღის დაწესება იქნება ნიშანი იმისა, რომ ქვეყნების მთავრობებიც არიან მზად, მონაწილეობა მიიღონ ამ მზარდი პრობლემის გადაწყვეტაში“.

თავის სიტყვაში მამბერტიმ ასევე აღნიშნა, რომ მიესალმება იარაღით ვაჭრობის შემცირების ძალისხმევას და მოუწოდა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისაკენ. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ „მეტი მზრუნველობა უნდა გამოვიჩინოთ მიგრანტებისადმი და, უპირველეს ყოვლისა, მათში პიროვნება უნდა დავინახოთ და არა დროებითი მუშახელი“.

კუბის ეკლესია მთავრობას პოლიტიკური რეფორმისკენ მოუწოდებს

„მოცემულ სიტუაციაში ბევრი რამაა დამოკიდებული კომუნისტური პარტიის პირველ მდივანზე, რაულ კასტროზე. მის პარტიას სამომავლო ხედვა არ გააჩნია, საუბარიც კი ზედმეტია გრძელვადიან დაგეგმარებაზე; მთავრობა თვალებს ხუჭავს დღევანდელი კუბის პრობლემებზე და საზოგადოებაზე, რომელიც სამომავლო საყრდენს ეძებს“, – აცხადებს ჰავანის ეპარქიის პრესმდივანი მამა ორლანდო მარკესი.



ეკლესია ქვეყნის მთავრობისგან რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს და მოუწოდებს, „გაათავისუფლოს ხალხი დიქტატისგან, დაადგეს მშვიდობის, სამართლიანი კანონების, თანხმობისა და ადამიანური თანადგომის გზას“.

ბენედიქტე XVI უსაფრთხოების ღვედს არ იკრავს

უწმიდესი პაპის გერმანიაში ვიზიტის დასრულების შემდეგ, ქალაქ დორტმუნდის სასამართლოში ადგილობრივმა ადვოკატმა შეიტანა სარჩელი, რომლითაც ბენედიქტე XVI-ის 2 500 ევროთი დაჯარიმება მოითხოვა. სარჩელის თანახმად, ვიზიტის დროს, პაპამობილით

მგზავრობისას, ბენედიქტე XVI უსაფრთხოების ღვედს არ იკრავდა, რისთვისაც გერმანიის კანონმდებლობით ჯარიმაა გათვალისწინებული.

წმიდა საყდრის პრეს-ცენტრის სამსახურის უფროსმა ფედერიკო ლომბარდიმ აღნიშნა, რომ ვატიკანში ამ ამბავს სერიოზულად არავინ აღიქვამს. ყველასთვის ცნობილია, რომ პაპამობილი მოკლე მანძილებზე და ძალზე მცირე სიჩქარით გადაადგილდება.

ადვოკატი აღნიშნავს, რომ მის კლიენტს, რომლის სახელითაც მან სარჩელი შეიტანა, უპირველეს ყოვლისა, თავად პაპის უსაფრთხოება აღელვებს.

ბიბლიის მიწოდების ახლებური მეთოდი

სამხრეთ-კორეელებმა ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობასთან დაკავშირების კიდევ ერთი საშუალება გამონახეს. სხვადასხვა სახის ლიტერატურას, სააგიტაციო ფურცლებს, აუდიო და ვიდეო ჩანაწერებს, მედიკამენტებს და საკვებ პროდუქტებსაც კი იზოლირებულ ჩრდილოელებს საჰაერო ბუშტების მეშვეობით აწვდიან.

ამ „აპრობირებული“ მეთოდით საერთაშორისო ქრისტიანულმა კონცერნმაც (International Christian Concern) ისარგებლა და ქვეყანაში ბიბლიის 10 000 ეგზემპლიარი „გადაისროლა“.

მიუხედავად იმისა რომ ბიბლიის კითხვა აქ სისხლის სამართლის დანაშაულია და მფლობელი შეიძლება საკონცენტრაციო ბანაკში, ე. წ. „გამოსასწორებელ ცენტრში“ აღმოჩნდეს, წმიდა წერილი ძვირად ფასობს. ამიტომ, როგორც წესი, კორეელი ჯარისკაცები, კონფისკაციის შემდეგ, ბიბლიას არ ანადგურებენ და შავ ბაზარზე მიაქვთ.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

8 დეკემბერი ქუთაისში

როდესაც ა.წ. 8 დეკემბერს, ქუთაისის ხარების ტაძარში, – რომელიც ღვთისმშობლის სახელზე ააგეს ქართველმა კათოლიკეებმა XIX საუკუნის დასაწყისში, – ამავე ქალაქის კათოლიკე მრევლი შევიდა, რათა ღვთისმშობლის წინაშე ელოცა, ტაძარში მყოფმა მართლმადიდებელმა მღვდელმა მამა გაბრიელე გულითადად მოიკითხა და თავაზიანად ჰკითხა, რაიმე ხომ არ სჭირდებოდა. ცხადია, მისი მხრიდან ეს სასიამოვნო ჟესტი გახლდათ. მ. გაბრიელემ ასევე თავაზიანად მიუგო, რომ არაფერი სჭირდებოდა, და რომ მხოლოდ მოკლე ლოცვით შემოიფარგლებოდნენ, როგორც წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი. ლოცვა მართლაც დიდებული, მშვიდი გამოვიდა, დრომაც მალე გაირბინა; ასე რომ, არავის შევუწუხებივართ; უწმიდესი მარიამის უბიწოდ ჩასახვის დღესასწაულზე ნამდვილად გვჭირდებოდა ამგვარი ლოცვა. დიდად ნასიამოვნები დავრჩით ამ ხანმოკლე, მაგრამ გულითადი ლოცვით; მადლიერები ვართ მართლმადიდებელი წინამძღვრისა, რომელმაც წლევანდელ წელსაც მოგვცა ტაძარში ლოცვის შესაძლებლობა. დღესდღეობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ მართლმადიდებელი ეკლესიის არაერთ ღვთისმსახურს ეძლევა კათოლიკურ ტაძრებში წირვის აღვლენისა და ერთსა და იმავე საკურთხეველზე ლოცვის საშუალება! თუმცა საინტერესოა, მიბაძავენ ამ მაგალითს საქართველოშიც და გააცნობიერებენ კათოლიკეთა იმავე საჭიროებას, რასაც უცხოეთში მყოფი მართლმადიდებლები ითხოვენ? კათოლიკე მორწმუნეებს, სულ სხვა ვითარებაში, შეიძლება განსხვავებულად გაეცათ პასუხი იმ კითხვაზე, რაც მართლმადიდებელმა მღვდელმა დაუსვა მამა გაბრიელეს: „ჩვენ არაფერი გვჭირდება, გარდა იმისა, რომ ეს ეკლესია დაგვიბრუნდეს“, რადგანაც... ის კათოლიკეებს ეკუთვნის და იგი არაკანონიერი გზით გადაეცა მართლმადიდებლებს, რის გამოც მრავალი ქართველი კათოლიკე თვლის, რომ ეს მათი უფლებების შელახვაა, მათი როლის უგულებელყოფაა ამ ქვეყნის ისტორიასა და ტრადიციებში. იგივე კითხვა შეიძლება დასვას საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს პატრიარქმა, იმერეთისა და ქუთაისის ხელისუფლებამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მასმედიამ: „რაიმე ხომ არ გჭირდებათ, საქართველოს კათოლიკეებო?“ კარგი იქნებოდა, უფრო მეტიც, სასიამოვნოც კი, მსგავსი კითხვის მოსმენა. თუმცა, უხერხული პასუხის მოსმენის შიშით, ჯერ კიდევ ვერ გვისვამენ ამ კითხვას, მით უფრო, როცა ასე მცირეა რაიმეს განხორციელების შანსი. ნაკლები უხერხულობა შეიძლება იმ ფაქტმაც განაპირობოს, რომ, მართალია, სულ რამდენიმე თვეა, კათოლიკე ეკლესია საქართველოში დარეგისტრირდა, როგორც ეკლესია, მაგრამ ბოლომდე ჯერ კიდევ არაა შეცნობილი, რაში მდგომარეობს ამ აღიარების არსი. რა სჭირდებათ საქართველოს მოქალაქეებს? ეს კითხვა შეიძლება ამ ფორმითაც დაისვას: „რა გვჭირდება ჩვენ, საქართველოს კათოლიკეებს?“ ფაქტია, რომ კათოლიკე მორწმუნეებს სურთ ერთად შეკრება, ერთად ყოფნა, ურთიერთგაცნობა; დიახ, მე შემიძლია, ვიყო კათოლიკე, შემიძლია, ჩემს გულში ჩუმად ვაღიარო, რომ ყოველთვის „კათოლიკედ“ დავრჩები, თუნდაც მართლმადიდებელზე დავქორწინდე, ან შვილები მართლმადიდებლურ ტაძარში მოვნათლო, მაგრამ თუ სხვა კათოლიკესთან შეხვედრის შესაძლებლობა არ მექნება, დიდ დღესასწაულებზე მაინც, კონკრეტულად სად გამოჩნდება ჩემი კათოლიკობა, კათოლიკე ეკლესიის ლამაზი და ჭეშმარიტი ტრადიცია? სამწუხაროდ, ზოგიერთი კათოლიკე ერთგული დარჩა *მრწამსის* პირველი სამი ნაწევრისა: *მწამს მამა ღმერთი... იესო ქრისტე... სულიწმიდა...*; მაგრამ *მრწამსი* ხომ გრძელდება: *მწამს ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია...*; როდის ცხადდება კათოლიკე ეკლესიის საიდუმლოება, თუ არა მორწმუნეთა ერთად შეკრების წუთებში? სამწუხაროდ, ამჟამინდელი ვითარება მრავალ კათოლიკეს პასიურობისკენ უბიძგებს – გარკვეულ მიზეზთა გამო, ართმევს ქრისტესმიერ „და-ძმებთან“ ერთად ყოფნის შესაძლებლობას... ხოლო როდესაც ერთად ყოფნა ხერხდება, ვგრძნობთ, რომ უფლისგან უხვად მოგვემადლება ძალა, ენერგია და სიხარული; კარგად ვიცით, რომ ათეისტური რეჟიმის პოლიტიკა ასეთი იყო: მორწმუნეთათვის „ეკლესიაში ერთად ყოფნის“ ბედნიერი წუთები მოეკლოთ.

8 დეკემბერს, ქუთაისში, თავიანთ ეპისკოსთან ერთად წირვაზე შეკრებილი მრევლი ხარობდა ერთად ყოფნით, წირვის შემდგომ კი ქალაქის სიმებიანი კვარტეტის კონცერტზე დასწრებით. ასევე საინტერესო გახლდათ წინა დღეს, საჯარო ბიბლიოთეკაში, მ. თამარაშვილისადმი მიძღვნილი ღონისძიება; აქაც, ამ კონფერენციის დროს, მომხსენებლების, ბატონების, პროფ. მ. კეზევაძის, გ. მჭედლიძის, ა. ნიკოლეიშვილის, ლ. გაბუნიას და ს. კუპრაშვილის ღრმა კომპეტენციის წყალობით, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ამ დიდი ქართველისა

▶ 8 გვ.

◀ 7 გვ. და დიდი კათოლიკეს ისტორიულ როლს. საინტერესო გახლდათ კონფერენციაზე მყოფი სტუდენტების კომენტარები, მათ შორის: „ჩვენ არ ვიცოდით, რომ საქართველოს ისტორიაში ასეთი დიდი პიროვნება არსებობდა“. აი, კიდევ ერთი ასპექტი, რაც დღევანდელ კათოლიკეებს სჭირდებათ: გაეცნონ როგორც მსოფლიო, ასევე ადგილობრივი ეკლესიის ისტორიას. მ. მიხეილ თამარაშვილი ხომ ამ ისტორიის დიდებული ფიგურაა. მის ეპოქაში, კათოლიკეებისთვის, და ზოგადად ქართველებისთვის, ნაკლებად თვალშისაცემი იყო ეს, ვიდრე დღეს არის? მართალია, მისთვის, როგორც მღვდელმსახურისთვის, ყველა კარი არ გაიღო და ამის გამოც გადაიხვეწა უცხოეთში, მან მაინც გამოიჩინა მზაობა, შესულიყო იმ კარებში, რომელსაც უღებდნენ და მთელი არსებით განეხორციელებინა თავისი სასულიერო მოწოდება. ჩვენთვის ნაცნობია მისი ცხოვრება, მისი ნაშრომები, მისი განცდები...; ოღონდ ესაა, რომ საკმარისად ვერ დავფიქრდით იმ ფაქტზე, რომ მან არ უღალატა თავის მოწოდებას. ალბათ, რამდენ კათოლიკეს სურდა, ამ სტუდენტების მსგავსად, რომ თვალი გადაევლო მისი ცხოვრების ისტორიის დიდებული ფურცლებისათვის! ჩვენ, როგორც კათოლიკეებს, გვინდა, გავეცნოთ ჩვენს ისტორიას და სხვებსაც გავაცნოთ ის. გვჭირდება იმის ცოდნა, თუ რატომ ვართ კათოლიკეები და რატომ გვინდა კათოლიკეებად დავრჩეთ, და ხალხიც ისეთს გვაფასებდეს, როგორებიც ვართ. ჩვენ მხოლოდ გვარის მიხედვით როდი ვართ კათოლიკეები; დღეს ეს საკმარისი მოტივი არაა რწმენისთვის. მართალია, სუბსტანციური განსხვავება, ფაქტობრივად, კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის არაა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა ან კათოლიკე უნდა გახდეს, ან მართლმადიდებელი; ან მნიშვნელოვანია? იქნები კათოლიკე გურიაში, იმერეთში, სამცხეში..., თუნდაც ევროპაში, ან აფრიკაში...?; რასაკვირველია, არა. შეგვიძლია ამაყად განვაცხადოთ, რომ ჩვენ, ქართველი კათოლიკეები, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ნაწილი ვართ, იმ ქვეყნისა, სადაც წმიდა ნინომ იქადაგა და ქრისტიანულ რწმენაზე მოაქცია ერი, სადაც მოღვაწეობდნენ ასურელი წმიდა მამები, და სადაც რომის

პაპის მიერ წარმოგზავნილი მისიონერები ამ ქვეყნის ქრისტიანულ ტრადიციებს იცავდნენ, ხოლო ქართველ კათოლიკეთა თანაზიარება რომის დიდებულ ეკლესიასთან და მის ეპისკოპოსთან, პაპთან დღესაც სახეზეა.

ამაღელვებელი და მშვენიერი გახლდათ ამ ბოლო პერიოდში მამა ფაუსტოს გამოსამშვიდობებლად აღვლენილი წირვა; მან რამდენიმე წელი დაჰყო ჩვენს შორის და ისევ სამშობლოში, იტალიაში დაბრუნდა; იმავე მიზეზით შევიკრიბეთ ერთად სუორა ჯოზეფინას გამო, რომელიც სამშობლოში, კენიაში, თავისი კონგრეგაციის საკრებულოში ბრუნდებოდა. მან ჩვენს შორის რამდენიმე წელი გაატარა; სწორედ ასეთი გულთბილი შეხვედრით გამოვხატეთ მადლიერება ამ ორი პიროვნების მიმართ. აქვე, მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქუთაისის მთავრობის წარმომადგენლებს, რომლებმაც პატივი დასდეს მ. თამარაშვილის ხსოვნას, დაესწრნენ შეხვედრას და ჩვენთან ერთად გაიზიარეს ამ დღესასწაულით გამოწვეული სიხარული; მადლობა უნდა ვუთხრათ ასევე წიგნის „როგორ ვიცხოვრეთ ერთად XX საუკუნეში საქართველოში“ რედაქტორს, სადაც, ზოგადად საინტერესო შინაარსის გარდა, ადგილი ეთმობა XX საუკუნის ქუთაისში კათოლიკეთა ცხოვრებას (გვ.124-127).

ზემოხსენებული კითხვა შეიძლება ასეც დაისვას: „რა სჭირდებათ დღეს მართლმადიდებლებს? მათაც სჭირდებათ ურთიერთშეხვედრა, მათაც სჭირდებათ ქრისტეს ეკლესიის დამოწმება; როდესაც უცხოეთში ხვდები ქართველ კათოლიკეებს და მართლმადიდებლებს, კიდევ უფრო მეტად გრძნობ ამ საჭიროებას, ლამის ფიზიკურ მოთხოვნილებად რომ ქცეულა; აქედან იბადება ეკლესიების აღმოცენების, უცხოეთში მორწმუნეთა დასახმარებლად ქართველი მღვდლების მივლინების, უცხო მიწა-წყალზე ახალ სამრევლოებთან პატრიარქის შეხვედრის სურვილი; კათოლიკური საკრებულოები გულისხმიერებას იჩენენ მათ მიმართ და თავიანთ ეკლესიებს უთმობენ შეხვედრისა და ლოცვისთვის... რას გვეუბნება ღმერთი ყოველივე ამით? იმას ხომ არა, რომ მთელი სერიოზულობით უნდა დავფიქრდეთ, რომ დიდსულოვანი და ადეკვატური პასუხი გავცეთ სხვების საჭიროებებს?

ლალი ჩარკვიანი

ახალხიზის სამრევლოს დღესასწაული

4 დეკემბერს, სოფელ ახალხიზის კათოლიკეებმა ეკლესიის წმიდანის – წმ. ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე იზეიმეს. ამ დღეს სოფელში ჩამობრძანდა ჩვენი ეპისკოპოსი მეუფე ჯუზეპე, რომელიც რამდენიმე წელია, ახალხიზაში არ ყოფილა, ამიტომ მისმა სტუმრობამ უფრო საზეიმო ელფერი შესძინა ამ დღეს.

წმ. წირვა ეპისკოპოსმა აღავლინა, მ. აკაკი ჭელიძესთან, მ. ზიგმუნდ ნეჯვეჯთან და მ. პავლე დილთან ერთად. მან, ქადაგების დროს, სიყვარულით სავსე სიტყვებით მიმართა მრევლს და აღნიშნა: „როდესაც პირველად ჩამოვედი ახალხიზაში, წირვას ძალიან ბევრი ხალხი ესწრებოდა. ახლა შედარებით ცოტანი ხართ, მაგრამ მთავარი რაოდენობა კი არა, არამედ ღმერთის სიყვარულია, და ის, რომ ხალხისთვის იქცე ამა ქვეყნის მარილად“.

დასასრულს, ეპისკოპოსმა დალოცა ბავშვები და აკურთხა მრევლი და მათი ოჯახები.

წირვის შემდეგ, მეუფემ დაათვალიერა ახალხიზის ახალი სამლოცველო სახლი, სადაც უკვე რამდენიმე წელია ტარდება წმ. წირვა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე სამლოცველო სახლი გარემონტდა, მ. აკაკი ჭელიძის თაოსნობით, და აღიმართა ჯვარი. ეს სამლოცველო სახლი რამდენიმე წლის წინ იქნა შეძენილი წმ. წირვის აღსასრულებლად და სამრევლოს სხვადასხვა საჭიროებისთვის. თავდაპირველად გვინდოდა პატარა ეკლესიის აგება სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, რის გამოც მივმართეთ შიდა ქართლის ხელისუფლე და არქიტექტურის სამსახურს. ჩვენი ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, იმ მიზეზით, რომ ტერიტორია, სადაც ჩვენ ადგილის გამოყოფას ვითხოვდით, სკოლის ეზოში მდებარეობდა, სადაც რელიგიური ნაგებობის აგება შეუძლებელი იქნებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ კი, იმავე ტერიტორიაზე დაიწყო მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობა!?

ახალხიზის სამრევლოში, ისევე როგორც საქართველოს უმეტეს სამრევლოებში, ხშირია პროზელიტიზმის შემთხვევები. ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით, მრავალი ადამიანი გადაინათლა, მაგრამ ჩვენი პატარა სამრევლო, მცირე შემადგენლობით, მაინც მედგრად აგრძელებს მამაპაპისეულ კათოლიკურ ტრადიციებს ამ სოფელში, რადგან, როგორც ეპისკოპოსმა თავის ქადაგებაში აღნიშნა, მთავარია არა რაოდენობა, არამედ ის, როგორი ქრისტიანები ვიქნებით.

დღესასწაული დასრულდა საზეიმო სადილით.

მომავალში მალე შეხვედრის იმედით, გულთბილად დავემშვიდობეთ ეპისკოპოსს.

ვასილ ბალიაშვილი
ახალხიზის სამრევლო

ვალესა და ახალციხის საკრებულო

სახალხო დამცველის წარმომადგენლები მესხეთის კათოლიკეებთან

როგორც მოგეხსენებათ, დეკემბერი ადვენტის – მოლოდინის თვეა, ეს ის დროა, როდესაც ყველამ უნდა ვიფხიზლოთ, ვიმარხულოთ და მოვინანიოთ ჩვენი ცოდვები.

ვალეს ეკლესიაში, ადვენტის პერიოდში, ყოველ დილით 7 საათზე ტარდება წმ. წირვები. მიუხედავად სიცივისა და დილის სუსხისა, ეკლესიაში უამრავი ადამიანი იყრის თავს.

კათოლიკურ ეკლესიაში 6 დეკემბერს წმ. ნიკოლოზის დღესასწაული აღინიშნება. წელსაც, როდესაც „წმ. ნიკოლოზმა“ წირვის დასასრულს ეკლესიაში „შემოაბიჯა“, არა მარტო ბავშვების, არამედ ყველა მორწმუნის სიხარული და გაკვირვება გამოიწვია. იგი ხალისიანად გაესაუბრა ბავშვებს, მერე კი საჩუქრები და ტკბილეული დაურიგა. საჩუქრები უფროსებსაც შეხვდათ. ამან დიდი აჟიოტაჟი და მხიარულება გამოიწვია.

7 დეკემბერს თბილისიდან სახალხო დამცველის აპარატის წევრები გვეწვივნენ. მათ სურდათ, გასცნობოდნენ რელიგიური უმცირესობების ტრადიციებს,

წეს-ჩვეულებებს, აინტერესებდათ, როგორ ემზადებიან კათოლიკეები შობის დღესასწაულისათვის, როგორ ატარებენ წმ. წირვებს და სხვა მრავალი. სტუმრები დილის წირვას დაესწრნენ და აღფრთოვანებული და გაკვირვებულები დარჩნენ: ამდენი ხალხი დილის 7 საათზე, მით უმეტეს, ბავშვე-

▶ 10 გვ.

◀ 9 გვ.

ბი. წირვის დასრულების შემდეგ, ისინი ბავშვებს გაესაუბრნენ, მათი საუბარი ჩაიწერეს და ძალიან საინტერესო ინფორმაცია შეაგროვეს. შემდეგ ერთ-ერთ კათოლიკურ ოჯახსაც ესტუმრნენ და გადაიღეს გოზინაყის დამზადების პროცესი, რომელიც საშობაოდ ყველა ოჯახში კეთდება.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები არლისა და ახალციხის საკრებულოებსაც ესტუმრნენ და ძალიან საინტერესო ცნობები შეაგროვეს.

როგორც მათ გვითხრეს, 24 დეკემბერს, შობის კვირაძალზე, თბილისის კათედრალსაც ესტუმრებიან, საშობაო წირვას გადაიღებენ და შემდეგ შეგროვილ ინფორმაციას ინტერნეტში განათავსებენ.

ვისაც სურს რელიგიურ უმცირესობებზე, მათ შორის, კათოლიკეებზე ინფორმაციის გაგება, ეწვიეთ ვებგვერდს: www.tolerantoba.ge

თინიკო მანველიშვილი

საადვენტო სულიერი ვარჯიშები ვალელი ახალგაზრდებისთვის

მამა ზურაბ კაკაჩიშვილისა და მამა არტურ გარბეცკის თაოსნობითა და მონაწილეობით, 4 დეკემბერს, ქ. ვალეს ახალგაზრდებისთვის საადვენტო სულიერი ვარჯიშები ჩატარდა. შეხვედრაში ორმოცამდე ვალელი ახალგაზრდა მონაწილეობდა.

სულიერი ვარჯიშები დღის მეორე ნახევარში, წმ. წირვის შემდეგ დაიწყო და ხუთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. პირველად ჩატარდა კონფერენცია თემაზე – „სიჩუმე“. შემდეგ ახალგაზრდები ხუთ ჯგუფად დაიყვნენ. თითოეულ მათგანს დაურიგდა კითხვები, რომელთა მთავარი აზრი, იდეა შემდეგი იყო: შეეძლოთ თუ არა მათ სიჩუმეში ლოცვა, ღმერთთან საუბარი.

კითხვები შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული:

1. როგორ ახერხებ შენ ცხოვრებაში სიჩუმის შენარჩუნებას: სახლში, სკოლაში (უნივერსიტეტში), ეკლესიაში, თავისუფალ დროს და სხვა სიტუაციებში?
2. დღეს, მოსმენილიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობ, საჭიროა თუ არა, შენს პირად ცხოვრებაში ყოველდღიურად ცოტათი მაინც დაიცვა სიჩუმე?
3. როგორ ფიქრობ, ადვილია თუ არა ლოცვა? შენ როგორ ლოცულობ?

თითოეულ ჯგუფს 20-25 წუთი ეძლეოდა მოფიქრებისა და გააზრებისათვის, შემდეგ კი, მიცემულ კითხვებთან დაკავშირებით, გაიმართა დისკუსია ჯგუფებს შორის. ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდათ, გამოეთქვათ თავიანთი აზრი და მოსაზრებები ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ.

მოკლე შესვენების შემდეგ, მოვისმინეთ ახალი თემა ლოცვის შესახებ.

შემდეგ ყველანი ეკლესიაში წავედით და მონაწილეობა მივიღეთ ადორაციაში, რაც საკმაოდ ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იყო თითოეული ჩვენთაგანისთვის. ადორაცია გალობით დასრულდა.

დასასრულს, ახალგაზრდები კვლავ ერთად შევიკრიბეთ და მიღებული შთაბეჭდილებები ერთმანეთს გავუზიარეთ. ყველამ გამოთქვა სურვილი, რომ რაც შეიძლება ხშირად ჩატარდეს მსგავსი სულიერი ვარჯიშები. ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ, სიჩუმეში ლოცვა და ღმერთთან საუბარი რომ ისწავლეს.

ვალეს ახალგაზრდების სახელით, მადლობას მოვახსენებთ მამა ზურაბს და მამა არტურს ამ მშვენიერი დღისთვის, და ვისურვებდით, რომ ხშირად მოეწყოს მსგავსი შეხვედრები.

ეკა ხითარიშვილი

მინისტრანტები ბაკურიანში

შაბათს, 10 დეკემბერს, მამა ზურაბ კაკაჩიშვილთან ერთად, ვალეს ეკლესიის მინისტრანტები: მე- გივი ხითარიშვილი, შოთა ხითარიშვილი, სანდრო ხითარიშვილი, გიორგი ლომიძე, ვალერი ჩიტაშვილი, პაატა გოზალიშვილი, გიორგი ათუნაშვილი და თორნიკე ზედგენიძე

ბორჯომში წავედით წმ. წირვში მონაწილეობის მისაღებად. როდესაც ღვთისმსახურება დასრულდა, ორი ბორჯომელი მინისტრანტი, ძმები ჯონი და მიშა გუკასიანები ავიყოლიეთ და ბაკურიანისკენ გავეშურეთ. რაც უფრო მეტად ვუახლოვდებოდით ბაკურიანს, თოვლის საფარის სისქე და სიცივე მატულობდა, ადგილზე მისულებს კი საკმაოდ დიდი თოვლი და სიცივე დაგვხვდა მასპინძლად. რადგანაც სეზონი ჯერ ახალი დაწყებული იყო, ხალხმრავლობა არ იყო, მაგრამ ჩვენ მაინც მოვახერხეთ გართობა და მხიარულობა: ვისრიალეთ ციგებით, კვადროციკლებით, ბურანებით. აქ ერთი ღვთისნიერი კაციც გავიცანით, რომელმაც დიდი სიკეთე გამოიჩინა და მინისტრანტებს უფასოდ დაგვითმო ბურანები. სურათებიც ბევრი გადავიღეთ. დრო ისე მალე გაიპარა, ვერც კი შევნიშნეთ, რომ დაღამებულიყო. მოგვშივდა; იქვე, ერთ-ერთ კაფეში ვივახშმეთ და კმაყოფილები შინისკენ გავეშურეთ.

ეს ერთი მშვენიერი დღე, რომელიც ბაკურიანში გავატარეთ, არასდროს დაგვავიწყდება.

გივი ხითარიშვილი



ვლადიმირ სოლოვიოვი

„რუსეთი და საყოველთაო ეკლესია“

ნაწყვეტი წიგნიდან

ეკლესია, როგორც მსოფლიო საზოგადოება

სიყვარულის დასაწყისი

ყოველი ადამიანური საზოგადოების არსებობა იდეებითა და დაწესებულებებით განისაზღვრება, ამიტომაც საზოგადოებრივი კეთილდღეობა და წინსვლა დამოკიდებულია უმთავრესად საზოგადოებაში გამეფებულ იდეათა ჭეშმარიტებასა და მართლწესრიგზე, რომლითაც იგი იმართება. ეკლესია, როგორც ღმრთის უშუალო ნებით აღმოცენებული და დადგენილი საზოგადოება, მით უფრო უნდა ფლობდეს ამ ორ თვისებას; მის მიერ აღიარებული რელიგიური იდეები უცდომლად ჭეშმარიტი უნდა იყოს; მისი წყობა კი, უდიდეს სიმტკიცესთან ერთად, მოცემული მიმართულებით მოქმედების უდიდესი უნარით უნდა ხასიათდებოდეს.

ეკლესია, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული საზოგადოებაა. ეკლესიის ძირითადი ჭეშმარიტება ღმრთაებრივისა და კაცობრივის ერთობაა, – სიტყვა, რომელიც ხორცი იქმნა, ძე კაცისა, ქრისტედ აღიარებული, ცოცხალი ღმრთის ძე. წმინდა ობიექტური თვალსაზრისით, ეკლესიის ქვა, ამრიგად, თავად ქრისტე, განხორციელებული ჭეშმარიტებაა. მაგრამ იმისთვის, რომ მართლაც ჭეშმარიტებაზე იყოს დაფუძნებული, ეკლესია, როგორც ადამიანთა საზოგადოება, ამ ჭეშმარიტებასთან განსაზღვრული გზით უნდა იყოს დაკავშირებული.

რადგანაც ჭეშმარიტებას არ გააჩნია უშუალოდ ხილული და გარეგნული აუცილებელი გამოხატულება აჩრდილთა ამ სამყაროში, ადამიანს მასთან შეერთება შეუძლია მხოლოდ რწმენით, რომელიც გვაკავშირებს საგანთა შინაგან არსთან და უცხადებს ჩვენს სულს ყველაფერს, რაც გარეგნულად უხილავია. ამიტომ, სუბიექტური თვალსაზრისით, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სწორედ რწმენა წარმოადგენს ეკლესიის საფუძველს, ან „ქვას“. მაგრამ რა რწმენა? ვისი რწმენა? არ არის საკმარისი მხოლოდ ფაქტი ამა თუ იმ პირის სუბიექტური რწმენისა. ყველაზე ძლიერი და ყველაზე წრფელი პირადი რწმენა შეიძლება გვაკავშირებდეს არა მხოლოდ ჭეშმარიტებისა და უზენაესი სიკეთის უხილავ არსთან, არამედ ბოროტებისა და სიცრუის უხილავ არსთანაც, რაც საკმარისად დასტურდება რელიგიათა ისტორიაში. იმისთვის რომ მართლაც დავუკავშირდეთ რწმენით სასურველ ობიექტს, – უპირობო ჭეშმარიტებას, – თავად უნდა გავხდეთ ამ ჭეშმარიტების მსგავსნი.

ღმერთკაცობრივი ჭეშმარიტება, ანუ უპირობოსა და შეფარდებითის, უსასრულოსა და სასრულის, შემოქმედისა და ქმნილების სრულყოფილი და ცოცხალი ერთობა არის ჭეშმარიტება, რომელიც ვერ შემოიფარგლება ისტორიული ფაქტით, მაგრამ ამ ფაქტის მეშვეობით აცხადებს სამყაროსეულ საწყისს, რომელიც შეიცავს სიბრძნის მთელ საგანძურს და მოიცავს ყველაფერს თავის ერთობაში.

რწმენის ობიექტურ ჭეშმარიტებას საყოველთაო ხასიათი აქვს და რწმენის ჭეშმარიტი სუბიექტი მსგავსი უნდა იყოს თავისი ობიექტისა. ამიტომაც ჭეშმარიტი რელიგიის სუბიექტი აუცილებლად უნდა იყოს საყოველთაო. ჭეშმარიტი რწმენა ვერ იქნება ხვედრი ცალკეული ინდივიდისა, არამედ მხოლოდ მთელი კაცობრიობისა მის ერთობაში. ინდივიდი შეიძლება იყოს მისი მონაწილე, მხოლოდ როგორც ცოცხალი წევრი საყოველთაო სხეულისა. მაგრამ რადგან კაცთა მოდგმის რეალური და ცოცხალი ერთობა არ არის მოცემული უშუალოდ, ფიზიკური სახით, იგი უნდა იქმნას ზნეობრივი სახით. განკერძოებული სასრული ინდივიდუალობისა, ბუნებრივი ეგოიზმის ზღვარი უნდა დაიმსხვრეს სიყვარულით, რათა ადამიანი გახდეს მსგავსი ღმრთისა, რომელიც არის სიყვარული. მაგრამ ეს სიყვარული, რომელმაც კაცთა მოდგმის დაპირისპირებული ნაწილები ნამდვილ და ცოცხალ ერთობად, საყოველთაო

ეკლესიად უნდა აქციოს, ვერ იქნება ბუნდოვანი, წმინდა სუბიექტური და უძლური გრძნობა; თავისი გამოხატულება მან უნდა ჰპოვოს მუდმივ და განსაზღვრულ მოქმედებაში, რომელიც შინაგან გრძნობას ობიექტურ რეალობას შესძენს. და რა რეალური ობიექტი მიეცა ამ ქმედით სიყვარულს? ბუნებითი სიყვარული, რომლის ობიექტები ჩვენთვის მეტად ახლო არსებები არიან, ქმნის რეალურ კოლექტიურ ერთობას – ოჯახს; ბუნებითი სიყვარული უფრო ფართო გაგებით, რომლის ობიექტები ერთ ქვეყანაში მცხოვრები და ერთ ენაზე მოსაუბრე ადამიანები არიან, ქმნის უფრო ფართო და უფრო რთულ, მაგრამ მაინც რეალურ კოლექტიურ ერთობას – ქალაქს, სახელმწიფოს, ნაციას. სიყვარული, რომელმაც უნდა წარმოშვას კაცთა მოდგმის რელიგიური ერთობა, ანუ საყოველთაო ეკლესია, უნდა გაცდეს ეროვნულობის საზღვრებს და თავის ობიექტად ადამიანურ არსებათა მთელი ერთობლიობა იგულოს. მაგრამ აქტიური ურთიერთობა კაცთა მოდგმასა და ინდივიდს შორის ვერ პოულობს ამ უკანასკნელში საფუძველს ბუნებითი გრძნობის სახით, მსგავსს იმ გრძნობისა, რომელსაც ოჯახი ან სამშობლო იწვევს, ამიტომაც ეს დამოკიდებულება აუცილებლობით დაიყვანება (ცალკეული სიბიექტისთვის) სიყვარულის წმინდა ზნეობრივ არსამდე, ანუ საკუთარი ნების, პირადული, ოჯახური და ნაციონალური ეგოიზმის თავისუფალ და გაცნობიერებულ უარყოფამდე. ოჯახისა და ნაციის სიყვარული არსობრივად ბუნებითი ფაქტებია, რომლებიც ირიბად შეიძლება იყოს ზნეობრივ ქმედებათა მიზეზი; ეკლესიის სიყვარული თავისი არსით ზნეობრივი აქტია, – კერძო ნების საყოველთაო ნებისადმი დამორჩილების აქტი. მაგრამ საყოველთაო ნება ფიქცია რომ არ იყოს, იგი ყოველთვის კონკრეტულ პიროვნებაში უნდა ხორციელდებოდეს. რადგან ყველას ნება არ წარმოადგენს რეალურ ერთობას, რადგან ყველა არ იმყოფება ერთმანეთთან უშუალო თანხმობაში, საჭიროა მათი შეთანხმების საშუალება, ანუ ერთეული ნება, რომელიც ყველა დანარჩენის გაერთიანებას შეძლებდა. აუცილებელია, რომ ყოველ ადამიანს ჰქონდეს საშუალება, გაერთიანდეს კაცთა მოდგმის მთლიანობასთან (გამოავლინოს დადებითი სახით თავისი სიყვარული ეკლესიის მიმართ), დაუკავშიროს თავისი ნება რაღაც ერთ ნებას, არანაკლებ რეალურსა და ცოცხალს, ვიდრე მისი საკუთარია, მაგრამ, ამავე დროს, საყოველთაოს, რომელსაც თანაბრად უნდა დაემორჩილოს ყველა სხვა ნება. მაგრამ ვერ დავუშვებთ ნებას ნების გამომხატველის გარეშე; და მანამ, სანამ ყველა არ გაერთიანებულა უშუალო ერთობაში, იძულებულნი ვართ, ვეძიოთ ერთობა ყველასთან ერთ სახეში, რათა ჭეშმარიტი საყოველთაო რწმენის მონაწილენი ვიყოთ.

რადგან ცალკეული ადამიანი, და ასევე მთელი კაცობრიობა, მის ბუნებრივ გამიჯნულობაში ვერ გახდება საყოველთაო რწმენის ნამდვილი სუბიექტი, აუცილებელია, ამ რწმენამ თავის გამოვლინება ჰპოვოს ერთ პიროვნებაში, რომელიც ყველას ერთობას წარმოადგენს. ყოველი ადამიანი, რომელიც ამ ჭეშმარიტ საყოველთაო რწმენას თავის რწმენად მიიღებს, ამით აღასრულებს მორჩილებისა და ეკლესიის სიყვარულის რეალურ აქტს, – აქტს, რომელიც მას ამ ეკლესიისათვის გამოცხადებული საყოველთაო ჭეშმარიტების მსგავსს გახდის. როდესაც უყვარს ყველა ერთში (რადგან სხვაგვარად მათი სიყვარული შეუძლებელია), თითოეული ადამიანი მონაწილეობს ყველას რწმენაში, რომელიც განისაზღვრება ერთის ღმრთივბოძებული რწმენით. და ეს დამკვიდრებული კავშირი, ასე ფართო და, მიუხედავად ამისა, ასე მტკიცე, ასე ცოცხალი და, მიუხედავად ამისა, ასე მდგრადი ერთობა აქცევს საყოველთაო ეკლესიას კოლექტიურ ზნეობრივ არსებად, ნამდვილ საზოგადოებად, რომელიც გაცილებით უფრო ფართო და უფრო რთულია, ვიდრე ნაცია ან სახელმწიფო, მაგრამ არანაკლებ რეალური. ეკლესიისადმი სიყვარული ვლინდება მუდმივი და ქმედითი თანხმობით მისი ნებისა და მისი ცოცხალი აზრისადმი, რომლებიც ხილულადაა წარმოდგენილი ეკლესიის უზენაესი მეთაურის აქტებში. ეს სიყვარული, რომელიც თავის საწყისში მხოლოდ წმინდა ზნეობრივი აქტია, პრინციპული ვალის აღსრულებაა (კანტისეული ტერმინოლოგიით, კატეგორიული იმპერატივის მორჩილება), შეიძლება და უნდა გახდეს წყარო გრძნობათა, რომლებიც არანაკლებ ძლიერია მშობლისადმი ან სამშობლოსადმი სიყვარულზე. ისინი, ვისაც ეკლესიის დაფუძნება სიყვარულზე სურთ და, ამავე დროს, საყოველთაო ეკლესიურ ერთობას ხედავენ მხოლოდ გადმოცემაში, რომელიც კრისტალიზებულია და უკვე თერთმეტი საუკუნეა, მოკლებულია თავისი ნამდვილი განმტკიცებისა და გამოვლენის ყველა საშუალებას, უნდა მიხვდნენ, რომ არ შეიძლება გიყვარდეს ცოცხალი და ქმედითი სიყვარულით არქეოლოგიური მოგონება, წარსული ფაქტი, რომელიც, შვიდი მსოფლიო კრების დარად, უცნობია მასებისთვის და მხოლოდ სწავლულთათვისაა გასაგები. ეკლესიის სიყვარულს ნამდვილი აზრი მხოლოდ მათში აქვს, ვინც აგრძელებს ეკლესიის ცოცხალი

წარმომადგენლის, მორწმუნეთა საერთო მამის აღიარებას, რომელიც შეიძლება იყოს სიყვარულის ობიექტი იმავე გაგებით, როგორც ოჯახის მამა, ან მონარქისტული სახელმწიფოს მეთაური.

ჭეშმარიტების ფორმალური თვისება ისაა, რომ სინამდვილის მრავალფეროვანი საწყისები ჰარმონიულ ერთობაში მოიყვანოს. ეს თვისება აქვს უზენაეს ჭეშმარიტებას, – ღმერთკაცის ჭეშმარიტებას, რომელიც თავის უპირობო ერთობაში მოიცავს ღმრთეებრივი და კაცობრივი სიცოცხლის მთელ სისავსეს. ეკლესია, სრულყოფილი ერთობისკენ მიმავალ პიროვნებათა ერთობლიობა, უნდა იყოს მსგავსი ქრისტესი, სრულყოფილი არსებისა, ქმნილების ცენტრისა. და მანამ, სანამ არ განხორციელდება კაცთა მოდგმის ეს შინაგანი და სრულყოფილი ერთობა, – სანამ თითოეულის რწმენა არ იქნება ყველას რწმენა, ყველას ერთობა უშუალოდ თითოეულის მიერ არ გამოვლინდება, – იგი უნდა ხორციელდებოდეს ერთის მეშვეობით.

საყოველთაო ჭეშმარიტება, სრულყოფილად განხორციელებული ერთში (ქრისტეში), თავისკენ მიიზიდავს ყველას რწმენას, რომელიც შეუცდომლად განისაზღვრება ერთის (პაპის) ხმით. ამ ერთობის მიღმა, როგორც უკვე ვიხილეთ, უმრავლესობის აზრი შეიძლება მცდარი იყოს და რჩეულთა რწმენაც კი ბუნდოვანი რჩებოდეს. მაგრამ საყოველთაო ეკლესიის ურყევ საფუძველს წარმოადგენს არა მცდარი აზრი და მერყევი რწმენა, არამედ რწმენა უცდომელი და განსაზღვრული, რომელიც კაცთა მოდგმას ღმრთის ჭეშმარიტებასთან აკავშირებს. ეს საფუძველი რწმენაა პეტრე მოციქულისა, რომელიც მის მემკვიდრეებში ცოცხლობს; ეს პიროვნული რწმენაა, რომელიც ადამიანებს უცხადდება; ესაა (ღმრთის შეწევნით) რწმენა ზეკაცობრივი, რადგან შეუცდომელია. და კვლავაც გავიმეორებთ: თუკი ფიქრობენ, რომ ერთობის ეს ცენტრი საჭირო არ არის, სცადონ მის გარეშე რაიმე საეკლესიო აქტის განხორციელება, რომლითაც დაინტერესებული იქნებოდა მთელი საქრისტიანო, სცადონ და გასცენ მტკიცე პასუხი იმ კითხვებს, რომლებიც ქრისტიანულ სინდისთა გამიჯნულობის მიზეზი გახდა. მაგრამ ჩვენ კარგად ვხედავთ, როგორ ბაძავენ ფილიპეს კესარიაში მოციქულთა დუმილს მოციქულთა ამჟამინდელი მემკვიდრეები კონსტანტინოპოლსა და პეტერბურგში...

რამდენიმე სიტყვით შევაჯამოთ წინამდებარე მოსაზრებები. საყოველთაო ეკლესია დაფუძნებულია რწმენით განმტკიცებულ ჭეშმარიტებაზე. ჭეშმარიტება ერთია, ამრიგად, ჭეშმარიტი რწმენაც ერთი უნდა იყოს. და რადგანაც რწმენის ერთობა არ გვაქვს ნამდვილად და უშუალოდ მორწმუნეთა ერთობლიობაში (რამეთუ არ არის ერთსულოვნება რწმენის საქმეში), მაშინ იგი უნდა მყოფობდეს ერთი მეთაურის კანონიერ ძალაუფლებაში, რომელიც ღმრთის შეწევნით ხორციელდება და სიყვარულითა და ნდობით მიღებულია ყველა მორწმუნის მიერ. აი, ის კლდე, რომელზეც ქრისტემ აღაშენა ეკლესია თვისი და მას ვერ დაძლევენ ჯოჯოხეთის ბჭენი.

ცათა სასუფევლის კლიტენი

იესოს თითქოს სურს, ყოველგვარი ეჭვი გაფანტოს თავისი სიტყვების აზრისა და მნიშვნელობის შესახებ: „მოგცემ შენ ცათა სასუფევლის გასაღებებს“ (მათე, 16,18), – ამატებს იგი და, ამრიგად, კლიტეთა განკარგვას, ანუ თავისი სასუფევლის მართვას, სიმონ-პეტრეს სახით, ეკლესიის ძირითად ძალაუფლებას მიანდობს. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უარვყოთ ის შეუსაბამობა, რომელსაც ჩვენი მართლმადიდებელი პოლემისტები იესო ქრისტეს მიაწერენ. იმისთვის, რომ შეძლებისდაგვარად წაშალონ სხვაობა პეტრესა და სხვა მოციქულებს შორის, ამტკიცებენ, რომ გასაღებების განკარგვა სხვა არაფერია, თუ არა შეკვრისა და გახსნის ძალაუფლება (მათე, 18,18). თითქოს იესომ ერთხელ თქვა, – „მოგცემ შენ ცათა სასუფევლის გასაღებებს“, – და შემდეგ იგივე დანაპირები სხვა სიტყვებით გაიმეორა. მაგრამ კლიტეთა განკარგვა არა შეკვრისა და გახსნის ძალაუფლებას იძლევა, არამედ, როგორც გამოცხადებაში ვკითხულობთ (თუკი მხოლოდ ახალი აღთქმით შემოვიფარგლებით), დაკეტვისა და გაღებისა: „დავითის კლიტე, რომელიც გააღებს და ვერავინ დაკეტავს, დაკეტავს და ვეღარავინ გააღებს“ (გამოცხ., 3,7). შეიძლება დავკეტოთ და გავაღოთ ოთახი, სახლი, ქალაქი, მაგრამ შესაძლებელია მხოლოდ ოთახში, სახლში, ქალაქში მყოფი ცალკეული არსებების შეკვრა და გახსნა. სახარებისეული ტექსტი, რომელსაც ახლა განვიხილავთ, მეტაფო-

რაა. ცათა სასუფევლის გასაღებები აუცილებლად აღნიშნავს უფრო ფართო და განზოგადებულ ძალაუფლებას, ვიდრე გამოხატულია სიტყვებში „შეკრავთ და გახსნით“.

შეკვრისა და გახსნის ძალაუფლება მიეცა პეტრეს იმავე სიტყვებით, როგორითაც შემდგომში სხვა მოციქულებს მიენიჭა ის (მათე, 18,18). სახარების მოცემული კონტექსტი ცხადჰყოფს, რომ ეს მცირე ძალაუფლება მხოლოდ კერძო შემთხვევებზე ვრცელდება („თუ შენი ძმა შესცოდავს შენს წინააღმდეგ“ და ა. შ.), რაც სრულიად შეესაბამება სახარებაში გამოყენებული მეტაფორის აზრს.

შეკვრისა და გახსნის ძალაუფლება, რომელიც პეტრეს დარად დანარჩენ მოციქულებსაც მიეცა, მხოლოდ პირადი სინდისის საკითხებსა და ცალკეულ სულთა ბედზე ვრცელდება. რაც შეეხება სასუფევლის კლიტეთა ძალაუფლებას, – რომელიც მხოლოდ პეტრეს მიეცა, – იგი სრულიად ეკლესიაზე ვრცელდება (ჩვენი ტექსტის ზუსტი აზრისა და ბიბლიური ანალოგიის თანახმად), და აღნიშნავს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ უზენაეს ძალაუფლებას, ღმრთის მიწიერი სასუფევლის ზოგად მართვას. არ უნდა გავმიჯნოთ ქრისტიანის სულიერი ცხოვრება საყოველთაო ეკლესიის მოწყობისაგან, ნურც მათ აღრევას მოვახდენთ. აქ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა, თუმცა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ წესრიგთან. არც ეკლესიაა კერძო რწმენათა მარტივი ერთობლიობა, ვერც ეკლესიის მართვა დაიყვანება ცალკეულ ადამიანთა ზნეობრივ ხელმძღვანელობამდე. საყოველთაო ეკლესია, რწმენის ერთობაზე დაფუძნებული, როგორც რეალური და ცოცხალი საზოგადოებრივი სხეული, მოქმედების ერთობასაც უნდა ავლენდეს, რათა თავისი ისტორიული არსებობის ყოველ მომენტში გაუმკლავდეს მტრულ ძალთა შემოტევას, რომელთაც მისი დამხობა და გამიჯნულობა სურთ. ფართო და რთული საზოგადოებრივი სხეულისთვის მოქმედების ერთობა ორგანულ ფუნქციათა მთელ სისტემას გულისხმობს; ეს ფუნქციები კი უნდა დაექვემდებაროს საერთო ცენტრს, რომელიც ყოველ მოცემულ მომენტში მათთვის სასურველი მიმართულების მიცემას შეძლებს. ჭეშმარიტი რწმენის ერთობის საბოლოო გარანტია ერთის დოგმატურ ავტორიტეტშია, იმისა, ვინც ყველას სახელით ლაპარაკობს; ასევე, ეკლესიის მოქმედების ერთსულოვნება აუცილებლად განპირობებულია ერთის ხელმძღვანელი ძალაუფლებით, რომელიც სრულიად ეკლესიაზე ვრცელდება. მაგრამ ერთი, წმიდა, ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული ეკლესიის ხელმძღვანელობა ვერ იქნება გამიჯნული მოძღვრებისაგან; საეკლესიო მართლწესრიგში უზენაესი ძალაუფლება შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ მას, ვინც ღმრთის ძალით, რელიგიურ მართლწესრიგში წარმოადგენს და ავლენს ჭეშმარიტი რწმენის ერთობას. სწორედ ამიტომ მიეცა ცათა სასუფევლის გასაღებები მხოლოდ მას, ვინც თავისი რწმენის ძალით არის კლდე ეკლესიისა.

მოამზადა
რუსუდან ავალიშვილმა

აღმოსავლეთის ქვეყნების ჰრეფექტის, კარდინალ ლეონარდო სანდრის მიერ 2011 წლის 22 ოქტომბერს რომში წარმოთქმული სიტყვა, მამა მიხეილ თამარაშვილის იუბილესთან დაკავშირებით

თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ,
ღრმად პატივცემულო ელჩებო,
პატივცემულო მამებო,

ასი წლის წინათ დასრულდა მამა მიხეილ თამარაშვილის სიცოცხლე, და დღევანდელი ზეიმი, – 2011 წ. 23 ოქტომბერს, – აღმდგარი ქრისტეს ცხოველმყოფელობას გვანიჭებს, ხოლო ქრისტეში, წმ. წერილის შეგონებისამებრ, იმ მოყვასთა ცხოვრებას გვიმჟღავნებს, ვინც სარწმუნოების ნიშნით ზეცაში დაწინაურდნენ და აწ მშვიდად განისვენებენ.

მამა მიხეილმა სისხლხორცეულად განიცადა თავისი ცხოვრება; ჩვენი დღევანდელი რწმენისთვის ფასდაუდებელია მისი ზოგიერთი ცხოვრებისეული კრედო; დიდსულოვანი და მტკიცე თავდადება სწავლასა და კვლევებში, რაც მას საშუალებას აძლევდა, შეექმნა აკადემიური ხასიათის ფუნდამენტური ნაშრომები; გულწრფელი სიყვარული საკუთარი მიწა-წყლისადმი, რომლის რელიგიური ტრადიციები და ისტორიული ფესვები მან ახლებურად აღმოაჩინა. სამღვდელო ცხოვრება – ყველაზე მოკრძალებული, მაგრამ თავისი არსით განუზომლად მნიშვნელოვანი – სხვების მიმართ დაუღალავ და გულისხმიერ დამოკიდებულებაში, სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად თავგანწირვაში ამაღლდა. სახარების გულმოდგინე მსახური, ჰეროიკული მოწმეობისათვის ძალას უფალ იესოსთან მეგობრობაში, მასთან ზიარების საიდუმლოში ჰპოვებდა.

ვევედროთ ოდეგიტრიის (Vergine Odegitria – გზის მაჩვენებელი, წინამძღოლი) ქალწულს, ჩვენი გზის წინამძღოლს, რათა თავის ძეში – იესო ქრისტეში გვიჩვენოს მამა მიხეილის გზა; შევავედროთ მას თავისი საყვარელი ქართველი ერი, და მასთან ერთად ვიფიქროთ ყველა იმ ქრისტესმიერ ძმაზე, რომლებიც აღმოსავლეთში, ხშირად დიდი რელიგიური და სოციალური განსაცდელის ფონზე, ამოწმებენ სამყაროს ერთადერთი მაცხოვრის – ქრისტეს ეკლესიის წევრობის მშვენიერებას.



ღრმა მოწიწებას გამოვხატავთ თქვენი ყოვლადუსამღვდელოესობის, პორტო-სანტა რუფინას ეპისკოპოსის, მონსინიორ ჯინო რეალის მიმართ; წმიდა საყდარში საქართველოს ელჩის, ღრმად პატივცემული ქალბატონის, ქეთევან ბაგრატიონის მიმართ, ხელისუფლების ძვირფასი წარმომადგენლებისა და ყველა მონაწილის მიმართ, პატივი მაქვს, მოგესალმოთ ასევე მისი ყოვლადუსამღვდელოესობის, მონსინიორ ვასილის სახელით.

თქვენი მონა-მორჩილი,
პრეფექტი, **კარდინალი ლეონარდო სანდრი**
Congregatio Pro Ecclesiis Orientalibus
აქტ. 101/2007

რა ღირსშესანიშნავი მომენტებისგან შედგებოდა სანტა მარინელაში მამა მიხეილ თამარაშვილის პატივსაცემად გამართული ღონისძიებები?

რამდენიმე წელია, რაც საქართველოს საელჩო იტალიაში ცდილობს, სხვადასხვა არქივებსა და ისტორიულ დოკუმენტებში მოიძიოს მონაცემები იმ პიროვნებისა (კორნოლატო კურციო – Cornolato Curcio) და მისი შთამომავლების შესახებ, ვინც 1911 წელს, 100 წლით გადაიხადა მიხეილ თამარაშვილის საფლავის საკმაოდ დიდი საფასური. ვინაიდან ჯერჯერობით აღნიშნული ინფორმაცია ვერ მოიძებნა, გადავწყვიტეთ, 100 წლის გასვლის შემდეგ, სიმბოლურად, მემორიალური დაფის სახით, მადლიერება გამოგვეხატა იტალიელი ხალხისადმი, რომელმაც ღირსეული პატივი მიაგო მიხეილ თამარაშვილს და მისი გმირობის ამბავი არ დაივიწყა.

▶ 12 ᲒᲒ.

ეკლესიის როლი უკიდურესად მნიშვნელოვანია

იტალიაში საქართველოს ელჩის მოადგილესთან ბატონ **ირაკლი ხუცურაულთან** ინტერვიუს უძღვება **მამა გაბრიელე ბრაგანტინი**

◀ *11 გვ.*

მიხეილ თამარაშვილისადმი მიძღვნილ ამ საზეიმო აქციაში მონაწილეობდნენ კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები, მიხეილ თამარაშვილის ნათესავები, საქართველოს საელჩო იტალიასა და წმინდა საყდარში.

რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს მემორიალურ დაფას, რომელიც საელჩოს სახელით გაკეთდა ამ მოვლენასთან დაკავშირებით?

საქართველოს საელჩოსთვის მნიშვნელოვანია, რომ მემორიალურ დაფაზე ეწეროს „საქართველო“, ოკუპანტური „საბჭოთას“, ან „რუსეთის“ გარეშე. ეს მიხეილ თამარაშვილის ხსოვნისადმი პატივისცემა იქნება და ყველა ქართველის ოცნებასაც უპასუხებს. მიხეილ თამარაშვილი საქართველოდან რუსული ადმინისტრაციის მიერ იყო განდევნილი. მისი ნათელი ოცნება იყო, რომ საქართველო ყოფილიყო თავისუფალი, ტოლერანტული, ინტელექტუალური, და გამხდარიყო ცივილიზებული სამყაროს თანაბარუფლებიანი და ღირსეული ნაწილი.

რა მნიშვნელოვან მესიჯს უგზავნის დღევანდელ საქართველოს ისტორიკოსი და მეცნიერი მ. მიხეილ თამარაშვილი?

უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მესიჯი მიხეილ თამარაშვილისგან, როგორც მეცნიერისგან, არის მისი ფუნდამენტური შრომები ქართული ეკლესიისა და საქართველოში კათოლიკობის ისტორიის შესახებ. მისი მიზანი იყო ქართული სულიერების პოტენციისა და პერსპექტივების ცხადად დანახვება მკითხველისათვის, როგორც საქართველოში, ასევე ევროპაში. ერთ-ერთი მთავარი მესიჯი უთუოდ არის საქართველოში კათოლიციზმის მნიშვნელობისა და ტრადიციის ცოდნა.

რაც შეეხება მიხეილ თამარაშვილის მორალურ მესიჯს, იგი განუზომლად დიდია – მუდამ ადამიანების სამსახურში ყოფნა, სხვისი სიცოცხლის საკუთარზე მაღლა დაყენება, გმირობა და გამუდმებით სამშობლოზე ფიქრი.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ მ. თამარაშვილი გახლდათ ემიგრანტი; სამწუხაროდ, დღესაც მრავალი ქართველი ტოვებს თავის სამშობლოს სხვადასხვა მიზეზით; მრავალი მათგანი იმყოფება იტალიაში; რა შეგვიძლია ვთქვათ მათ ცხოვრებაზე, პრობლემებზე?

თამარაშვილი ქრისტიანობის, საღვთო სიყვარულის მსახური იყო და, ამდენად, იგი არ იყო ტიპიური ემიგრანტი. მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მან საქართველო დატოვა იძულებით, რადგან რუსულმა ადმინისტრაციამ მას საეკლესიო მსახურება აუკრძალა, შემდეგ კი, საბჭოთა რკინის ფარდის გამო, მის თავისუფალ მოღვაწეობას სამშობლოს მონატრება დაედო სიმძიმედ.

იტალიაში არიან ძირითადად 1990-იან, 2000-იანი წლების ეკონომიკური სიმძიმის გამო ემიგრირებული ქართველები, ძირითადად ქალები, რომლებიც ლეგალურად მუშაობენ ოჯახებში მოხუცების მომვლელებად, ან ბებისიტერებად (ეს ე.წ. მესამე ემიგრაციული ტალღაა საქართველოსთვის. პირველი – 1921 წლის რუსული ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, მეორე – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ). დღეს ეს შედარებით მცირედ ანაზღაურებადი სამუშაოა, მაგრამ, იტალიური ოჯახების სტანდარტებით, (აქ ნაკლებადაა გავრცელებული მოხუცების თავშესაფარში მიბარება. ოჯახური სტანდარტები უფრო ძლიერია, ვიდრე ჩრდილო ევროპაში) საპატიო და საკმაოდ კომფორტული საქმეა.

ეს საქმიანობა, ასევე, მრავალ სხვა ქვეყანაში ემიგრანტის სამუშაო სფეროა. ნაწილი ადამიანებისა, რომლებიც ინტელექტუალური და შემოქმედებითი საქმიანობითა და სწავლით არიან დაკავებულნი იტალიაში, შესაბამის ასპარეზს სრულიად გამიზნულად, პროფესიულად პოულობენ. არის მცირე კრიმინალური ტალღაც, რომელიც გაურბის საქართველოს ანტიკრიმინალურ სახელმწიფო სტანდარტებს და ამიტომ მოძრაობს სხვა ქვეყნებში.

ობიექტურად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობამ, საბჭოთა რკინის კედლის რღვევამ, დასავლეთთან ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესებმა ახალი სტანდარტები გააჩინა „ემიგრაციის“ განსაზღვრებაში. ბოლო წლებში ტრადიციულმა ემიგრაციამ იკლო, მოიმატა უკან, საქართველოში დაბრუნების შემთხვევებმა. ბევრი კარგი ინიციატივა საქართველოს დიასპორის სამინისტროსგან და გადაადგილების თავისუფლება საქართველოში დასავლეთის ქვეყნებიდან, და პირიქით, ბევრად აუმჯობესებს ქართული ემიგრაციის სტანდარტებს.

ამ დღეებში რომში გაიხსნა ძალზე მნიშვნელოვანი, საქართველოს ოქროს ფონდის გამოფენა. შეიძლება, გაგვაცნოთ, როგორ დაიბადა ეს ინიციატივა და რა შედეგებს მოიტანს ის სამომავლოდ?

საქართველოს საელჩოს მუდმივად ჰქონდა იდეა ქართული ოქროს ფონდის გამოფენისა რომში, და საერთოდ, იტალიაში – ფლორენციაში, ვიჩენცეში და ა.შ. კონკრეტული გამოფენის იდეა გაჩნდა რომის მერიის მიერ დაგეგმილი „აბრეშუმის გზის“ გლობალური ივენთის ფარგლებში მოსაქცევად. ორგანიზატორებმა მოიწონეს ასეთი შესაძლებლობა.

საელჩომ შეათანხმა საკითხი საქართველოს კულტურის მინისტრთან, ბ-ნ ნიკა რურუასთან, ერთობლივად შეირჩა „ტრაიანის სასახლე“, როგორც საგამოფენო სივრცე; ასევე, იტალიელი და ქართველი ექსპერტებისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც მოამზადებდა ამ გამოფენას.

საქართველოს საგამოფენო ადმინისტრაციამ (დირექტორი პროფ. დავით ლორთქიფანიძე), ექსპერტებმა შეარჩიეს მასალა, დაიწერა (პროფ. ტიციანა დ'აცილე) და დაიბეჭდა კატალოგი, ფაქტობრივად, სამეცნიერო გამოკვლევა, თავდაპირველად იტალიურად.

შედეგი ასეთი არის და იქნება – იტალიელი მნახველები, ექსპერტები, ესთეტები და რომში ტურისტები, ვინც მივა ტრაიანში, სამი თვის განმავლობაში ნახავს, რომ საქართველო არის მეტალურგიისა და ოქრომრავალი ხელოვნების ერთ-ერთი სამშობლო, უძველესი პერიოდის დიდი კულტურის ქვეყანა, რომ ეს არის „ქვეყანა“ და არა მრავალწლიანი ოკუპაციის გამო რუსეთის სახელს ამოფარებული, ევროპისთვის დამალული ტერიტორია. შეგიძლიათ, უფრო დეტალურად გაეცნოთ მასალას გამოფენის კატალოგის წინასიტყვაობიდან.

რომში იმყოფება ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფი, რომელიც კათოლიკე ეკლესიის სხვადასხვა ინსტიტუციების არქივებში მუშაობს; რა მიზანი აქვს ამ სამუშაოს?

ქართველ მეცნიერებს აქამდე არ ჰქონდათ საშუალება, შეესწავლათ ის უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის წერილობითი საგანძური, რომელიც არის ამ ბიბლიოთეკის საცავებში. ახლა ეს შესაძლებელი გახდა. ესაა მასალა საქართველოს რეალური ისტორიოგრაფიის სერიოზულად გამდიდრებისთვის. პირველსავე დღეებში სამეცნიერო ჯგუფმა ქართველ მეფეთა ხელნაწერები აღმოაჩინა, მასალა ყოველდღიურად მდიდრდება. სავარაუდოდ, მოპოვებული იქნება მასალა, რომელიც სრულიად ახალ ცოდნის სფეროს შექმნის ქართველი ისტორიკოსებისა და ტექსტოლოგებისათვის.

საქართველოშიც არსებობს უამრავი მასალა საქართველოში მოქმედი კათოლიკე ეკლესიის ისტორიის, მისიონერთა წერილების, ქართველი კათოლიკე მღვდლების შესახებ, რაც შეუსწავლელია; რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ პარალელურ საქმიანობაზე საქართველოშიც?

თუ იტალიელი, ან სხვა მეცნიერები დამოუკიდებლად, ან ქართველებთან ერთად გაწევენ ასეთ სამუშაოს, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება როგორც საქართველოსთვის, ასევე საერთოდ კათოლიციზმის ისტორიისთვის. ყოველი ფაქტი ახლად დადგენილი ცნობებისა ძალიან შეუწყობს ხელს საერთოდ, და კერძოდ საქართველოში, კათოლიციზმის მნიშვნელობის უკეთ, ღრმად გააზრებას. საელჩოს არ ხელეწიფება ამის უშუალო ორგანიზება, მაგრამ იტალიაში საკითხის დაყენების ინიცირება შეუძლია, და საქართველოში ასეთი დიდი მნიშვნელობის სამუშაოს ჩატარებას ყველა დონეზე მხარს მხურვალედ დაუჭერს.

რას ფიქრობთ საქართველოს პარლამენტის მიერ აპრობირებულ კანონზე, რომელიც შეეხება საქართველოში სხვა ეკლესიებისა და კონფესიების იურიდიულ აღიარებას?

ამ კანონის მიღება დიდი ხანია დაიწყო, ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტის დროს, და სასიხარულოა, რომ ამჯერად წარმატებით დასრულდა. კანონი იმ სულისკვეთების შემცველია, რომელიც ეკადრება ტოლერანტულ საქართველოს.

როგორ ფიქრობთ, რა როლი აკისრია დღევანდელ საზოგადოებაში ეკლესიას?

საერთოდ, მიმაჩნია, რომ ეკლესიის როლი ეთიკური ყოფის, ჰუმანური აზროვნებისა და პრაქტიკის საქმეში უკიდურესად მნიშვნელოვანი და მხარდასაჭერია.

რას ფიქრობთ, ზოგადად, მართლმადიდებელ და კათოლიკე ეკლესიას შორის, და მართლამდიდებლებსა და კათოლიკეებს შორის ურთიერთობაზე?

ერთიცა და მეორეც მიზნად თეოზისის გზას ისახავს. ორივე ერთი და იმავე სიტყვებით იწყებს მასზე სვლას – „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“. ეს გადამწყვეტია. კულტუროლოგიური ტრადიციების გამო, მცირედი განსხვავება პატივსაცემია, მაგრამ ვერ შეძლებს, შეაჩეროს ის უდიდესი შინაგანი მთლიანობა, რომელსაც ქრისტიანობა ჰქვია. მჭიდრო ურთიერთობის გარდა, სხვა ალტერნატივა არ არსებობს, და არც საერთო გარემო ვითარება მისცემს მათ განვითარების სხვა საშუალებას.

მარცხნიდან პირველი: ირაკლი ხუცურაული (სანტა მარინელა)

ქრისტიანთა ერთიანობისადმი მიძღვნილი ლოცვის კვირეული – 2012წ.

ერთ-ერთი სტატიის ავტორი წერდა, რომ იესომ მოგვიწოდა არა იმისთვის, რომ გველოცა ut una sit (რათა ეკლესია ერთ იყოს), არამედ ut unum sint (რათა ყველანი ერთ იყოს); ეკუმენურმა მოძრაობამ, დაარსების დღიდანვე, დაისახა მიზნად, რომ ელოცათ არა ეკლესიის, არამედ „ქრისტიანთა ერთიანობისთვის"; ეკლესია, რომელიც ქრისტეს სხეულია, მუდამჟამს იქნება ერთი. წლევანდელი წლის ლოცვის კვირეულის თემად შეირჩა: „ყველანი შევიცვლებით... რომელიც გვაძლევს ძლევას ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ" (1კორ. 15,51-58). კვირეული 2012 წლის 18-25 იანვრის ფარგლებში გაიმართება პოლონეთში; კვირეულის თემა სწორედ პოლონეთში არსებული სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიების მიერ (კათოლიკე, მართლმადიდებელი, პროტესტანტული) იქნა შერჩეული და მომზადებული, მათთან ითანამშრომლეს ეკლესიათა ეკუმენური საბჭოსა და პონტიფექსის საბჭოს წარმომადგენლებმა. თემა კარგად ასახავს ქრისტიანთა და ეკლესიათა დიდ გამოცდილებას პოლონეთში, ამ ერის ძლიერ გამოცდილებას, ერისა, რომელიც ისტორიის ქარტეხილებმა გარდაქმნა და გარდასახა კონფლიქტების, გამარჯვებების, გათიშვების, დამპყრობ მტერთა შემოსევების ჟამს, მაგრამ სულით არ გატეხილა და სიმტკიცე რწმენით შეინარჩუნა. თემა ასევე შეგვახსენებს, რომ ჩვენი ქრისტიანული რწმენის გული არის ცვლილება. წმიდა პავლე ამბობს, რომ ვინც ქრისტეშია, იგი ახალი ქმნილებაა, და ჩვენ მოწოდებულნი ვართ, ვიყოთ ნათლის შვილები. სწორედ ცვლილება არის ეკუმენური მოძრაობის გული. ეკლესიის ერთიანობისთვის ლოცვის წუთებში, ვლოცულობთ, რათა ეკლესიები, რომლებსაც ვაღიარებთ, და რომლებიც ასე ახლობელნი არიან ჩვენთვის, ქრისტესთან უმჭიდროვეს კავშირში შეიცვალონ. ეს ფრიად ამაღელვებელი განცდაა, და აგრეთვე გამოწვევაც; ასევე, როდესაც ვლოცულობთ ამ ცვლილებისთვის, ვლოცულობთ წუთისოფლის შეცვლისთვის. ლოცვის კვირეული მსოფლიოს უამრავ საკრებულოში აღძრავს ერთად ლოცვისა და მასთან დაკავშირებული განსაკუთრებული მომენტების გაზიარების სურვილს. იგი გამორჩეულად აღინიშნება საქართველოში, კერძოდ, თბილისში, მარიამის ზეცად აღყვანების კათოლიკურ საკათედრო ტაძარში, (აბესაძის ქ.4.), 20 იანვარს, 16.00სთ-ზე; ლოცვაში მონაწილეობას მიიღებენ კათოლიკე, სომხური სამოციქულო, ევანგელურ-ლუთერული და ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიების მოძღვრები, მორწმუნეებთან ერთად. ამ შეხვედრის მიზანია, დაგვაფიქროს ქრისტესმიერი ძმების ამჟამინდელ მდგომარეობაზე მთელ მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაში: ეკლესიას, ქრისტეს სხეულს, მიუხედავად ლოცვა-ვედრებისა, ურთიერთშეხვედრებისა, ინიციატივებისა... კვლავაც მძიმედ ადევს გასულ საუკუნეებში აღმოცენებული გათიშვის დაღი; მივიწყებულია ის ფაქტი, რომ ოდესღაც ქრისტიანები ერთნი იყვნენ. იქნებ აჯობებდა, იმ პერიოდზე გაგვემახვილებინა ყურადღება, როცა ქრისტიანები იყვნენ ერთად, და არა გათიშულები. დღეს არსებობს შესაძლებლობა და რეალური თანაზიარების პირობა, – თუნდაც ეს იყოს არასრული ზიარება, – რომ ერთ სახარების კვალდაკვალ დავამოწმოთ ჩვენი ერთობა: ღმრთის მამობრიობა, ქრისტეს გამარჯვება ცოდვასა და სიკვდილზე თავისი ჯვრითა და აღდგომით, სასოება სულიწმიდის გარდამსახავ ძალაში; ქრისტეს ეს ცენტრალური უწყება ნათელ და განახლებულ სულს მოჰფენს ცალკეულ პირთა და კაცობრიობის არსებობას. ვატიკანის II კრების დეკრეტი ეკუმენიზმის შესახებ ეკუმენურ მოძრაობას წყალობად განსაზღვრავს (რაოდენ განსხვავებულია ეს აზრი იმისგან, ვინც ეკუმენიზმს ახალ ერესად, ან გადახრად რაცხავს) და მოუწოდებს კათოლიკეებს, რომ მოვალეობის გრძნობით დაადგნენ ამ გზას, „შეუქცევად" გზას, როგორც აღნიშნა პაპმა იოანე პავლე II-მ. მოვალეობა შემდეგია: ვაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც ერთად შეგვიძლია; ცოდვა შეიძლება ისიც იყოს, რომ არაფერი იღონო იმისთვის, რისი გაკეთებაც ერთად შეიძლება. მაგალითად, საქართველოში წელს ღრმად მნიშვნელოვანი იყო კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა შეხვედრა ბიოეთიკისა და ოჯახის თემატიკაზე დასაფიქრებლად და განსასჯელად. ეს დღეს პირველადი მოთხოვნაა, მით უფრო, რელიგიური და კულტურული პლურალიზმის, მიგრაცია-ემიგრაციის ამჟამინდელ ეპოქაში; ყოველივე ამაზე გული უნდა შესტკიოდეს არა მხოლოდ ცალკეულ ქრისტიანულ კონფესიებს, არამედ მთელ საქრისტიანოს. ამ პრობლემებზე პასუხები არ უნდა წამოვიდეს ცალკეული კონფესიების მხრიდან სათითაოდ, არამედ ერთობლივი ძალით, კოლექტიურად. ოდესღაც წიგნების, სწავლების, მასმედიის საშუალებით ვეცნობოდით, თუ ვინ იყო ბუდისტი, მუსულმანი, ქრისტიანი. დღეს უკვე ეს შესაძლებელია პირდაპირი დიალოგის, შეხვედრის გზით, მით უფრო, როცა ამდენი მართლმადიდებელი გავიდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სრულიად განსხვავებულ გარემოში. რამდენი კათოლიკე სამრევლო არის მსოფლიოში მზად, კონკრეტულად დაეხმაროს (მაგალითად, გადასცენ ეკლესიები და გამოუყონ ადგილები ლოცვისთვის) ამ ქრისტიანებს; ნამდვილად არასახარბიელო იქნება, თუ ეს ვითარება, თუნდაც მისი სოციალური ასპექტებით, ქრისტიანთა შორის მეგობრობაში, ძმურ კავშირებში არ გადაიზრდება, როგორც ადგილზე, სამშობლოში, ასევე სხვაგან, უცხო ქვეყანაშიც, და არ მოხდება ეკლესიების დაახლოება; იტალიაში, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსმა, მონსინიორ სილუანმა ერთგან განაცხადა „გაუგონარ გამოცდილებაზე", რითაც „იძულებულნი" გახდნენ, მათ კარზე (კათოლიკეთა) დაეკაკუნებიათ, ვისაც სამშობლოში მტრულად უყურებდნენ"; შემდეგ საუბრობს „იმ შეხვედრებზე, რაც მართლმადიდებელ და კათოლიკე მუშაკებს შორის შედგა უმწეოთა (მოხუცების, ხეიბრების, ბავშვების) დასახმარებლად, რომლებიც ზრუნვისა და ლოცვის სამიზნედ იქცნენ. სწორედ ლოცვა იქცა ამ ორი კონფესიის წარმომადგენელთა შორის შეხვედრის საშუალებად, ლოცვაში ხომ თითოეული მხარე თავის ჭეშმარიტ ფესვებს ეჭიდება. იმის გამოცდილება, რომ ერთად იმარხულეს, ილოცეს, ორივესთვის იქცა სტიმულად, შეიძლება ითქვას, ერთმანეთის შეჯიბრში გამოწვევის პირობად, იმის აუცილებლობად, რომ შეიცნონ ერთმანეთი, თავიდან გაუგონ ერთმანეთს...; ცხადია, ამ ვითარებასთან დაკავშირებით, თავს იჩენს ახალ-ახალი, ან ძველი პრობლემები, გავიხსენოთ თუნდაც კანონიკური იურისდიქციის პრობლემა, შერეული ქორწინებები, ახალი თაობის ფორმირება..., მაგრამ, თუკი ადამიანებში არსებობს ნება დიალოგის, შეხვედრის, ქრისტიანული რწმენის ცენტრის აღიარებისა, ეს პრობლემები დაშორების, ან ერთმანეთთან ქიშპობის ნაცვლად, ურთიერთდაახლოების ნამდვილ პირობად იქცევა. აი, რა წერია ამ ვითარების შესახებ კათოლიკე ეკლესიის ერთ-ერთ დოკუმენტში: „მართლმადიდებელთა დღევანდელი მზარდი რიცხვის წინაშე, კათოლიკე ეკლესია იტალიაში მოვალეა დაფიქრდეს, თუ „წყალობათა გაცვლის" რა ფორმებს შეიძლება შეესახას ხორცი მორწმუნე კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა შორის, დაფასოს არსებული განსხვავებები და მდიდარი სულიერი ტრადიცია". ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ იტალიაში არ არსებობს ეპარქია, რომელიც ამ სიტყვებს არ ახორციელებს.

მამა
გაბრიელე ბრაგანტინი

ძველი ღმერთი დატყვევებული მღვდელთმთავარი

(გაგრძელება, დასაწყისი „საბა" №11,12)

ეხლა გავიგე მე თქვენი ყოვლად სამღვდელოების აზრიო, გაიცინა კეისარმა. ჩემი მოქმედება გამომდინარეობს სამოქალაქო საჭიროებებისაგან და არა კეთილმსახურების აზრებისაგანო, სთქვა ნაპოლეონმა. ზეციერ ჯილდოს არ უნდა ველოდე, რადგან არაფერი გამიკეთებია უფლისათვის, არამედ მხოლოდ კეისრობისათვის! – მჯერა, დაუმატა მან მძიმედ, სარწმუნოება უნდა იყოს მთავრობაში, მის გარეშე შეუძლებელია ერის მართვა, არასოდეს მივცემ ნებას, რომ ქრისტიანული ყოფაქცევა სახალხოდ შეურაცხყონ. აბა რატომ არ სურს თქვენს ყოვლად უსამღვდელოესებას, სარწმუნოების მფარველთან მეგობრობა?

ჩემგან მავნებლობას თხოულობთ სარწმუნოების წინააღმდეგ, როცა ამტკიცებთ, თითქოს სარწმუნოების მფარველი ხართ, უპასუხა პიომ! მღვდელმთავრის ქვეყნიერი მფლობელობა სარწმუნოების ნანილი არ არის, სთქვა ნაპოლეონმა. ის ხელს შეუშლის მღვდელმთავარს, მისი თანამდებობის სრულად აღსრულებაში. მმართველობაზე ზრუნვას მორჩებით და თავისუფლად იცხოვრებთ საფრანგეთის კეისრის მფარველობის ქვეშ!

თავისუფლად ვიქნები არწივის ბრჭყალებს შუა? მწუხარე ღიმილით წამოიძახა პაპმა. მღვდელმთავარი არ უნდა იყოს რომელიმე მფლობელის მორჩილი, რადგან ეს მფლობელი მოინდომებს მღვდელმთავრისაგან, ეკლესიის დამოკიდებულებას სამოქალაქო საგნებზე. უფალმა დააწესა, რომ მღვდელმთავარი ეკლესიის სამფლობელოში იქნება თავისუფალი.

საკვირველი საქმეა, სთქვა ნაპოლეონმა გაცინებით! ევროპის მთელი მფლობელნი ჩემს ბრძანებას ემსახურებიან, ჩემი ძალის წინაშე ყველა თავს იხრის, მხოლოდ ერთი მოხუცებული კაცი, რომელიც ჩემი პატიმარი არის, ჩემს მეგობრობას შეურაცხყოფს!

მომიტევეთ ხელმწიფეო, უპასუხა პაპმა. ჩემთვის ძლიერ სასიამოვნო არის თქვენი მეგობრობა, მაგრამ უნდა გითხრათ მღვდელმთავარმა კეისარს, რომ თქვენი მოთხოვნა უსამართლო არის, რადგან ქრისტიანული ზნეობის და სარწმუნოების მოძღვრების მფარველისაგან თხოულობთ, რომ ნება დართოს თქვენს მტაცებლობას!

საკვირველია! წამოიძახა კეისარმა. ჩანს, რომ მხოლოდ ქრისტეს მომაგიერესათვის არის მიტევებული უკაცრიელი სიტყვის კადრება კეისრისათვის?

დიდებულო ხელმწიფევ! დიდად ვწუხვარ, რომ ჭეშმარიტებას უკაცრიელ სიტყვად იღებთ, სთქვა პაპმა.

კმარა! უფალო მღვდელმთავარო, დაიძახა ნაპოლეონმა. ჩემს მეგობრობას შეურაცხყოფთ, მაშინ იგრძენით ჩემი მტრობა!

თვითმპყრობელო ხელმწიფევ! მიუგო პაპმა, თქვენს წყრომას ჯვარცმული უფლის ფერთა წინაშე დავდებ და ღმერთს მივანდობ ჩემი სამართლის შურისძიების საქმეს, რადგან მისივე არის სამართალი!

თქვენი ღმერთი ცრუმორწმუნეობის გამოხატულებისაგან ნაშობი საოცრება არის!.. უპასუხა ნაპოლეონმა.

პაპმა ხელის მაღლა აღებით სიტყვა გააწყვეტინა და სთქვა: თვითმპყრობელო ხელმწიფევ კმარა! ძველი ღმერთი ცოცხალი არის! – რისი თქმა გინდა მაგით? იკითხა ნაპოლეონმა.

ის, რომ ცანი საყდარი არის და ქვეყანა მის ფეხთა სადგმელი. ის თქვენს გმობის სიტყვებს ისმენს.

ქადაგება საჭირო არ არის აქ, გაანჩხლებით დაიძახა ნაპოლეონმა, რას ნიშნავს ის თქვენი სიტყვა, რომ ძველი ღმერთი ცოცხალი არისო. რამე მუქარა არის მანდ?

დიახ და ამასთანავე მამობრივი სიყვარულიანი შეგონება! მიუგო პაპმა.

ძველ ღმერთს შეუძლია და სურს იმ შეჩვენებითი საქმის ჩვენება, თქვენ რომ შემატყობინეთ? იკითხა ნაპოლეონმა.

შეჩვენება ეკლესიის განკარგულებისამებრ მიეცა ეკლესიის მძარცველ ნაპოლეონ ბონაპარტს, საფრანგეთის კეისარს – სთქვა პიო VII-მ.

ნაპოლეონმა საძაგელი სიცილით გადაიხარხარა და გაბრაზებულმა გაიარა. განა მე ეს სიტყვა მეკადრება? სთქვა მან.

ვინ უნდა გაუმხილოს ქვეყნის ძლიერებს თავიანთი მოვალეობა, თუ არა მღვდელმთავარმა? უპასუხა პაპმა.

საკმარისია, პირდაპირობით დაიძახა კეისარმა. ჩვენ შუა საუკუნეებში არ ვცხოვრობთ. ამის შემდეგ ისევ დაიწყო სახლში სიარული, დაუწყნარებლობა და სიანჩხლე ცხადად ეტყობოდა!

– ძველი ღმერთი ისევ ცოცხალიაო, სთქვით. თქვენი სიწმინდე რას მოელის ჩემგან, რას იმედოვნებთ?

ვიცი, რომ ყოვლისმპყრობელი და სარწმუნო არის ღმერთი და თავის დაპირებას აასრულებს, უთხრა პიომ!

ყოვლისმპყრობელი ღმერთი თქვენ რაღას დაგპირდათ? აგდებით იკითხა კეისარმა.

თავის ეკლესიას დაცვას და მფარველობას დაჰპირდა, მტრების წინააღმდეგ, ამასთანავე სიმტკიცეს, ვიდრე ქვეყნის დასასრულამდე, – უთხრა მხნეობით მოხუცებულმა!

ეგ მეტად დიდი დაპირება არის, ხედავთ? მე იმ ძველი ღმერთის მღვდელმთავარზე და ეკლესიაზე არა ვარ კმაყოფილი. იქნებ მეც ჩემი სამფლობელოს სარწმუნოება დავაფუძნო, რომლის თავი ქრისტეს მომაგიერე კი არ იქნება, არამედ კეისარი!

თქვენს შესაძლებლობებზე დიდი იმედი გქონიათ კეისარო! უპასუხა პაპმა.

(გაგრძელება იქნება)

ავტორი კონრად ბოლონდენელი
მესხის იოანე მღვდელ გვარამაძის
მიერ ნათარგმნი
(მოამზადა გიორგი როსტომაშვილმა)

მშვიდობით 2011 წელო

ათი წელია, რაც ჟურნალ „საბაში“ დავამკვიდრეთ ტრადიცია, წლის დასაწყისში მოკლე შეჯამება გავუკეთოთ გასული წლის მნიშვნელოვან მოვლენებს. ეპისკოპოსმა იმთავითვე მოიწონა ჩვენი ჩანაფიქრი და დადებითად შეაფასა. წლის დაიჯესტმა მკითხველის დაინტერესებაც გამოიწვია, რადგან, ერთი მოკლე ინფორმაციის თვალის გადავლებით, შესაძლოა მთელი წლის მოვლენათა აღდგენა და შეჯამება.

2011 წელი, ისევე როგორც გასული 2010 წელი, მართლაც ღირსშესანიშნავი მოვლენით დაიწყო. კათედრალურ ტაძარს ეწვივნენ საქართველოს პრეზიდენტი, მეუღლესთან და ვაჟიშვილთან ერთად, პრემიერ-მინისტრი, თბილისის მერი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, რათა სრულიად საქართველოს კათოლიკე მრევლისათვის მიელოცათ შობის დღესასწაული. ქვეყნის პრეზიდენტი

თბილისის კათედრალს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზეც ესტუმრა და თავისი ღრმა პატივისცემა გამოხატა ქართველი კათოლიკეების მიმართ. პრეზიდენტს საპასუხო სამადლობელი სიტყვით წმინდა საყდრის დესპანმაც მიმართა და უწმინდესი პაპის მოლოცვებიც გადასცა. ამასთანავე, დიპლომატიური თავაზიანობით შეახსენა, რომ, ბენედიქტე XVI-სთან ვიზიტის დროს, ბატონი პრეზიდენტის სიტყვებმა იმედი ჩაუსახა წმინდა საყდრის წარმომადგენლობას, რომ „შორს აღარ იყო ის დღე, როცა მოხდებოდა საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ცნობა მისთვის შესაფერისი იურიდიული ფორმით“. ძნელია იმის მტკიცება, როდის მოელოდნენ საქართველოს მხრიდან კათოლიკური ეკლესიის იურიდიულ აღიარებას, მაგრამ გასული წლის ივლისის მცხუნვარე დღეებში ქვეყნის პარლამენტმა მისთვის არადამახასიათებელი ოპერატიულობით მიიღო დიდი ხნის ნანატრი კანონი და ყველა რელიგიურ გაერთიანებას, რომლებიც აღიარებულნი არიან ევროპის ქვეყნებში, მიანიჭა იურიდიული პირის სტატუსით სახელმწიფო რეგისტარციის უფლება. მართალია, ნაუცბადევად მიღებულ კანონს ან-

ტიტოლერანტული „ზაფხულის ხუთდღიანი გაელვებაც“ მოჰყვა, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, ისე, როგორც ევროპელობაზე სერიოზული პრეტენზიის მქონე ქვეყანაში უნდა ყოფილიყო.

2011 წელს შესრულდა მე-100 წელი ქართველი კათოლიკე მღვდლის, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, მიხეილ თამარაშვილის დაღუპვიდან, ამიტომ, კულტურისა და ეკუმენიზმის კომისიის ინიციატივით, (სხვათა შორის, ეს განახლებული კომისიის პირველი სერიოზული ღონისძიება გახლდათ), ეს წელი თამარაშვილის საიუბილეო წლად გამოცხადდა. მთელი წლის განმავლობაში თბილისსა და ახალციხეში დიდი მამულიშვილისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ციკლი ჩატარდა. ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდგომ კი სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართულ საზეიმო შეხვედრაში, მეუფე ჯუზეპესთან ერთად, მონაწილეობდა ახალციხის ეპარქიის მმართველი მეუფე თევდორე. ელექტრონულ და ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნდა ამ ღონისძიებებისადმი მიძღვნილი მასალები, დაჯილდოვდნენ საიუბილეო კონკურსში მონაწილე მეცნიერები, განხორციელდა მეტად მნიშვნელოვანი მომლოცველობა სტამბულის ქართულ კათოლიკურ სავანეში, ხოლო 21-25 ოქტომბერს სასულიერო პირები და მ. თამარაშვილის მემკვიდრეები იტალიას ესტუმრენ, სადაც, ორი ქვეყნის საელჩოებისა და შესაბამისი ეპარქიის მესვეურთა ძალისხმევით, გაიხსნა მემორიალური დაფა.

საქართველოში მოქმედი კათოლიკე ეკლესიის მესვეურებმა გასულ წელსაც მრავალი სასიკეთო და საჭირო ვიზიტი განახორციელეს საქართველოს რეგიონებში, ახლო თუ შორეულ უცხოეთის ქვეყნებში, ყოველი ეს ვიზიტი საქართველოში მოქმედი კათოლიკე ეკლესიის, მისი მრევლის კეთილდღეობით იყო ნაკარნახევი, მაგრამ მაინც ერთს გამოვყოფდი: ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს სტუმრობას სოხუმის წმ. სიმონ მოციქულის სახელობის საკრებულოში. სოხუმის მრევლმა დიდი სითბოთი და სიყვარულით მიიღო თავისი სულიერი მწყემსი, საზეიმო

ლიტურგიას კი, კათოლიკეებთან ერთად, სოხუმის ღუთერული ეკლესიის წევრებიც ესწრებოდნენ. ეს ორი საკრებულო სოხუმში, ხანგრძლივი იძულებითი ინტერვალის შემდგომ, მხოლოდ გასულ ათწლეულში ამოქმედდა, მაგრამ მათ საკმაოდ მალე შემოიკრიბეს წევრები და თავთავიანთი საეკლესიო ნაგებობებიც გააჩნიათ.

მთელი წლის მანძილზე ფორსირებულად მიმდინარეობდა სამშენებლო-სარესტავრაციო მუშაობა ტაძრების აგება-გამშვენიერებისათვის. ახალციხეში დასასრულს უახლოვდება რაბათის სატაძრო-სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა. მიმდინარე წელს კი მესხეთის ცენტრალურ ქალაქს მართლაც მშვენიერი სატაძრო კომპლექსი დაამშვენებს, რომლის მსგავსიც ამ უძველეს და წარმტაც ქალაქში არ არის. ასევე დასრულდება სარესტავრაციო სამუშაოები ადიგენის რაიონის სოფელ არალში. წმ. იოსების ტაძარი და მისი მიმდებარე ტერიტორია გამშვენიერდა და სოფლის მშვენებად, კულტურულ ცენტრად იქცა.

2011 წელს გაგრძელდა 2009 წელს დაწყებული ტრადიცია კათედრალური ტაძრის მრევლის მიერ წმ. მარიამის ზეცად აღყვანების დღესასწაულის ერთად აღნიშვნისა წეროვანის სულიერების ცენტრში.

გაფართოვდა მასშტაბები კათოლიკური სამრევლოების მოძღვართა მიერ საზაფხულო ბანაკების ორგანიზებისა, გასულ წელს მრავალმა ახალგაზრდამ დაისვენა და სულიერი წვრთნები გაიარა საქართველოს სხვადასხვა საკურორტო ადგილას მოწყობილ საზაფხულო ბანაკებში.

მნიშვნელოვანი გახლდათ ქართველი კათოლიკე ახალგაზრდების მონაწილეობა 16-21 აგვისტოს მადრიდში გამართულ მსოფლიო ახალგაზრდების ფორუმში. ამ მომლოცველობის ორგანიზატორად საქართველოს კათოლიკეთა ახალგაზრდული საბჭო და მისი კოორდინატორები მ. კარლო დი სტეფანო და მ. მიხეილ სურმავა გვევლინებიან. მომლოცველობის გარდა, ახალგაზრდული საბჭო მრავალი საინტერესო აქციის ინიციატორადაც გვევლინება.

აღნიშვნას იმსახურებს გასულ წელს კათოლიკე ეკლესიისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ერთად განხორციელებული კონფერენციები ბიოეთიკაში. ეს ღონისძიებები მ. პიერ დიუმულენისა და მ. გაბრიელე ბრაგანტინის ძალისხმევით განხორციელდა. თუ წინა წლებში მართლმადიდებელი სამღვდელოება თავს არიდებდა ჩვენს მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმებს, 2011 წელს ეს ნავსი გატყდა და რამდენიმე ერთობლივი შეხვედრა გაიმართა, რაც ნამდვილად სასიკეთო ნაბიჯია ორივე ეკლესიისათვის, ვინაიდან მორწმუნე მრევლის კლების ტენდენცია, რაც უკვე ათწლეულია აღინიშნება ევროპაში, საქართველოსაც ემუქრება და ორივე ჭეშმარიტი ეკლესიის წარმომადგენლებს დროულად სჭირდებათ ამაზე დაფიქრება, რომ თავისი ურთიერთობით სარწმუნოებისადმი კრიტიკულად განწყობილ ადამიანებს ქილიკისა და ეჭვის გაჩენის საბაბი არ მისცენ.

2011 წელს თავისი ელჩობის ვადა ამოწურა წმინდა საყდრის ნუნციუსმა, არქიეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ. იგი დიპლომატიურ საქმიანობას ბელორუსში აგრძელებს. 2012 წლისთვის საქართველოში ვატიკანის ახალ, რიგით მეოთხე ნუნციუსს წარმოგზავნიან. იმედია, ახალი ელჩის საქმიანობა კიდევ უფრო ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება, ვიდრე წინა წარმომადგენლებისა.

2011 წელს იტალიელმა კათოლიკეებმა მართლაც დიდი საჩუქარი გაუკეთეს ქართველ მართლმადიდებლებს, 29 მაისს ფლორენციაში ქართულ სამრევლოს საჩუქრად გადასცეს უძველესი ტაძარი, რომელიც მართლმადიდებლურ წესზე აკურთხეს ქართველმა სასულიერო პირებმა, ხოლო თბილისში ქართველ მართლმადიდებლებს საქართველოს „კარიტასმა“ ახალი ტაძარი აუგო და, ძმური სიყვარულის ნიშნად, საჩუქრად გადასცა. ნაძალადევში აგებული ეს ტაძარი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საზეიმოდ აკურთხა. ეს ორივე ფაქტი ქრისტიანული სიყვარულის გამოვლენისა არის ნიშანი კათოლიკე ეკლესიის კეთილი ნებისა და პატივისცემისა უძველესი ქართული სამოციქულო ეკლესიისადმი; ისევე როგორც ქართველი ხალხისადმი პატივისცემის ნიშნად გვესახება ვატიკანის თანხმობა, ქართველ მეცნიერებს მისცენ ნება, თავისუფლად გამოიკვლიონ ვატიკანის არქივებში დაცული ათასობით ისტორიული დოკუმენტი, რომელთა გამოკვლევაც ახალ ფურცლებს გადაშლის ჩვენი ქვეყნის წარსულის გაცოცხლებაში.

ნუგზარ ბარდაველიძე

ნოდარ აბულაძე

2006 წლის 25 სექტემბერს ლიტვის ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა წერილი სათაურით: „ქართველ ფიზიკოსს ლიტვა საკუთარი სამშობლოსავით უყვარს“. ვინ იყო ის ქართველი, რომელმაც საკუთარი სამშობლოსავით შეიყვარა ლიტვა?

ნოდარ აბულაძე, ქართველი ფიზიკოსი, რომელმაც თავისი სიცოცხლის უკანასკნელი 19 წელი (1991-2010) ლიტვაში გატარა, 1936 წელს დაიბადა. მისი მამა, ჟურნალისტი ბიძინა აბულაძე, ყირიმის ფრონტზე ტყვედ ჩავარდა და სამი წელი გერმანიაში იმყოფებოდა, სამშობლოში დაბრუნებულს კი ათწლიანი გადასახლება მიუსაჯეს. ნოდარი, თავის უმცროს და-ძმასთან ერთად, უმამოდ გაიზარდა, თუმცა ეს თითქმის არ უგრძვნია, რადგან ბიძას, ილია აბულაძეს (ფილოლოგი, ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის მკვლევარი, ხელნაწერთა ინსტიტუტის დამაარსებელი და პირველი დირექტორი) უმამოდ დარჩენილი ძმიშვილებისათვის ზრუნვა და პატრონობა არ მოუკლია.

ოქროს მედლით სკოლის დამთავრების შემდეგ, ნოდარმა სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1960 წელს წარჩინებით დაამთავრა და მუშაობა დაიწყო მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში, საიდანაც სტაჟიორად მიავლინეს მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიულ საბჭოში. 1965 წელს ნოდარი თბილისში ჩამოვიდა საკანდიდატო მინიმუმისათვის გამოცდების ჩასაბარებლად. არსებობს საქართველოს გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის ბუხნიკაშვილისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მუსტელი უაღრესად მნიშვნელოვნად მიიჩნევს აბულაძის მიერ წარმოებულ კვლევებს თემაზე – „დედამიწის მაგნიტური ველის უეცარი ცვლილებები“. გამოცდებისათვის მზადების დროს, ნოდარს საოცარი თავის ტკივილები დაეწყო, რასაც თვალებზე გართულებები მოჰყვა. ერთ კვირაში მან სავსებით დაკარგა მხედველობა და მკურნალობამ და ოპერაციებმა ვეღარ უშველა. 29 წლის ახალგაზრდა, რომელსაც წინ წარმატებები ელოდა, პირველი ჯგუფის ინვალიდი გახდა. ეს იყო ნამდვილი ტრაგედია, რომელთანაც შეუძლებელი იყო შეგუება. ნოდარი არც შეგუებია მას მთელი სიცოცხლის მანძილზე. ის არასოდეს ყოფილა უსინათლო, ამ სიტყვის სრული გაგებით: ერთხელაც არ დაუჭერია ხელში ჯოხი, ხელი არ გაუწვდია რაიმეს მოსასინჯად... როგორც ერთმა გერმანელმა მეგობარმა მითხრა, ეს არაგონივრულია, მაგრამ ამაში არის რაღაც სილამაზე და სულიერება... და ეს ერთადერთია, რაც ადამიანს აახლოებს ღმერთთან.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, ნოდარმა წაიკითხა სახარება და ჭეშმარიტი მორწმუნე გახდა. იმ უბედურების შემდეგ კი ეკლესიაში სიარულს მოუხშირა, მაგრამ ორთოდოქს მოძღვართან ვერ იპოვა პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც აწუხებდა. შემდეგ მან კათოლიკურ ეკლესიას მიმართა. რამდენჯერმე იმოგზაურა ლიტვაში, საბჭოთა კავშირის ერთადერთ რესპუბლიკაში, სადაც იმ პერიოდშიც კი (1970-იანი წლები) კათოლიკური ეკლესია საკმაოდ ძლიერი იყო, ძლიერი იყო ლიტველი ხალხის რწმენაც, საკმარისია, „ჯვრის მთა“ (მთა შიაულაის მახლობლად, სადაც ასი ათასამდე ჯვარია შეგროვებული. საბჭოთა პერიოდში ცდილობდნენ ჯვრების მოსპობას, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან ლიტველ ხალხს ღამღამობით განადგურებული ჯვრების ნაცვლად მთაზე ახალი ჯვრები აჰქონდა) ნახოს კაცმა, რომ ამაში დარწმუნდეს.

1981 წელს ნოდარმა კათოლიკობა მიიღო. მისი სულიერი ცხოვრება კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. დაიწყო ლათინური და იტალიური ენების შესწავლა...

1991 წლის ზაფხულის ბოლოს, ნოდარი ლიტვაში გაემგზავრა, მაგრამ, იმ პერიოდის ცნობილი მოვლენების გამო, იძულებული გახდა, ლიტვაში დარჩენილიყო. ნოდარი ვილნიუსის ერთ-ერთ სასტუმროში ცხოვრობდა, საარსებო თანხა თითქმის აღარ ჰქონდა... და აი, სწორედ მაშინ მოხდა მოულოდნელი რამ: კიბეებზე ერთი კაცი დაეწია და ჰკითხა, საქართველოდან ხომ არ ხართო და, დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, ნოდარს ურჩია: არ წახვიდეთ საქართველოში, იქ ახლა ომია, თუ ფული გჭირდებათ, აი, ეს ცოტა ხნით მაინც იმყოფინეთო, ფულის დასტა შეუჩჩეზია ხელში და ისე სწრაფად წასულა, რომ ნოდარს მადლობის თქმაც ძლივს მოუსწრია. მხოლოდ ის გაიგო, რომ ის კაცი სომეხი იყო.

როცა ლიტვაში ცხოვრების საკითხი წყდებოდა, ნოდარმა მთელი ღამე ლოცვაში გაატარა, ის ღმერთს მხოლოდ ერთს სთხოვდა – ლიტვაში დარჩენის შესაძლებლობას. ასეც მოხდა: ნოდარი ლიტვამ შეიკედლა. მას, პირველი ჯგუფის ინვალიდს, რომელსაც ლიტვაში ერთი დღეც არ უმუშავია, პენსია დაუნიშნეს და საცხოვრებლად კალტინენაიში, ეკლესიასთან არსებული მოხუცთა თავშესაფარი შესთავაზეს. თავდაპირველად ნოდარი ამ ეკლესიის მოძღვართან ცხოვრობდა, შემდეგ ავად გახდა და თითქმის ორი წელი საავადმყოფოში გაატარა, მერე თავშესაფარში გადავიდა და იქ გარდაცვალებამდე, 10 წელზე მეტხანს ცხოვრობდა.

ნოდარი დიდ პატივს სცემდა დედა ტერეზას, რომის პაპს, იოანე პავლე მეორეს. იგი ცრემლმორეული მიამბობდა 1993 წელს პაპთან შეხვედრის ამბავს: კალტინენაიდან ის „ჯვრების მთაზე“ გაემგზავრა, სადაც ლიტვაში სტუმრად მყოფ პაპს ღვთისმსახურება უნდა ჩაეტარებინა. ნოდარს თავშესაფრის ერთ-ერთი მომვლელი გოგონა უწევდა მეგზურობას. სხვა მორწმუნეებთან ერთად, ისინიც მუხლმოყრილნი ელოდნენ პაპის გამოჩენას. ნოდარი ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, როგორ უახლოვდებოდა მათ პაპის ამალა. უცებ მან შუბლზე შეხება იგრძნო და მიხვდა, რომ ვიღაცამ შუბლზე ჯვარი გამოუსახა. აღელვებულმა ნოდარმა გოგონას ჰკითხა, ვინ იყოო. პაპი, – ქვითინით უპასუხა გოგონამ და ნოდარიც ატირდა...

ნოდარს სჯეროდა სასწაულების. ხშირად იგონებდა ლურდში მარიამ ღვთისმშობლის გამოცხადების სასწაულს, რომელიც 1858 წლის 11 თებერვალს მოხდა. ამ სასწაულთან აკავშირებდა ის დედამიწის მაგნიტურ ველში ინტენსიური რხევების წარმოქმნას, გამოცხადებიდან ზუსტად 100 წლის შემდეგ. ოცნებობდა ლურდში წასვლაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა.

ნოდარის გარდაცვალებიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ, შემთხვევით, ქუჩაში გასაყიდად გამოტანილ წიგნებს წავაწყდი, ერთი პატარა წიგნი შევარჩიე – „Bernadette“ და ვიყიდე კიდეც. საღამოს კითხვა დავიწყე და ვეღარ მოვწყდი, რადგან ის სწორედ იმ ლურდელ გოგონაზე, ბერნადეტაზე გვიამბობდა, რომელსაც 1858 წლის 11 თებერვალს ღვთისმშობელი გამოეცხადა. და კიდევ ერთი: ბერნადეტას ღვთისმშობელი მეორედ კვირადღეს, 14 თებერვალს გამოცხადებია. ნოდარი 2010 წლის 14 თებერვალს გარდაიცვალა და მაშინაც კვირადღე იყო. არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს დამთხვევა შემთხვევითია...

საკვირველია, თითქოს მთელი ცხოვრება ნოდარი იყო ჩემი საზრუნავი, ზოგჯერ, გარკვეული თვალსაზრისით, ტვირთიც კი, თითქოს სულ მე ვჭირდებოდი მას. მხოლოდ ახლა, მისი გარდაცვალების შემდეგ, მივხვდი, თურმე როგორ მჭირდებოდა ის მე, რამდენს მაძლევდა, რამდენს ვიღებდი მისგან და როგორ მაკლია ახლა.

მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ლიტვაში საქართველოს საელჩოს თანამშრომელი რობიზონ სირაძე, რომელიც ნოდარს მის სიცოცხლეშიც აკითხავდა ხოლმე და გარდაცვალების შემდეგაც დაუნთო საფლავზე სანთელი.

ქართულ დელეგაციასაც მინდა ვუთხრა მადლობა, რომლის წევრებიც 2005 წელს ლიტვას ეწვივნენ და თავშესაფარში ნოდარიც მოინახულეს...

ძალიან გაახარა ნოდარი სანდრა რულოვსის ყურადღებამაც. მან, ვილნიუსში სტუმრობის დროს, ჩვენი საელჩოს მეშვეობით, ნოდარს ქართული სიმღერების ჩანაწერები და ქართული ღვინო გაუგზავნა.

2009 წლის ზაფხულში ნოდარს ვილნიუსიდან ეწვია ეპისკოპოსი იუოზას ტუნაიტისი და შემდეგ, ოქტომბერში წერილი გამოუგზავნა: სიამოვნებით ვიხსენებ ზაფხულის იმ დღეს, როცა თქვენთან სტუმრობის შესაძლებლობა მომეცაო. ბოლოს კი წერდა:

„წლები გადის, მაგრამ ჩვენ, ქრისტეს მიმდევრები, ვისაც ღმერთთან მარადიული სიცოცხლის გვჯერა, ამის გამო კი არ ვნაღვლობთ, არამედ ვხარობთ იმ იმედით, რომ მომავალში მუდმივი ნათელი და სიხარული გველის“.

ღმერთს ვთხოვ, რომ ეს იმედი ასრულებულიყოს.

ლია აგულაძე

განუსვენე მათ, უფალო!



კუკური პეტოშვილი
*07.11.1952 – ვალე
†03.11. 2011 – ვალე

მარიამ გოზალიშვილი
*24. 03. 1932 – ვალე
†13.11. 2011 – ვალე

ვანო ათუნოვი
*16.09.1964 – ვალე
†17.11. 2011 – ვალე

ნინა აკოფაშვილი
*05.02.1924 – ადიგენი
†19.11. 2011 – არალი



სტეფანე (ანტონ) მასკალსკი
*17.09.1935 – ასპინძა-ჭობარეთი
†25.11. 2011 – ვალე

ელენა ტატალაშვილი
*17. 05. 1927 – ადიგენი
†19.11. 2011 – არალი

თამაზაშვილი ლიზა
ეკლესიის ქომაგი

ქალბატონ ლიზასგან ხშირად გაიგონებდით შემდეგ ფრაზას: „რა დავაშავე ღმერთო, ასეთი ფიზიკური ნაკლი რომ მიბოძე?“

როდესაც სოფელ ხიზაბავრაში ეკლესია ამოქმედდა, ქ-ნმა ლიზამ იმ დღიდანვე შეაღო მისი კარი და სიკვდილამდე აღარც მიუხურავს ის. ეკლესიის პატრონი და ქომაგი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, თითქმის აღარც კი გრძნობდა ფიზიკურ ნაკლსა და ტკივილს. ის არა მხოლოდ თვითონ მივიდა ეკლესიაში, არამედ სხვებიც აიყოლია, დამოძღვრა და წინ გაუძღვა მათ.

*15. 09. 1935 – ხიზაბავრა
†15.11. 2011 – ხიზაბავრა

სარჩევი

ეპისკოპოსის საშობაო მილოცვა 2
კათოლიკე ეკლესია
მსოფლიოში 4
კათოლიკე ეკლესია
საქართველოში 7
მიხეილ თამარაშვილის
საიუბილეო წელი.....11
რაითა ყოველნი ერთ იყვნენ.....14
საარქივო მასალები.....15
მიმოხილვა 16
ხსოვნა 17
საგანგებო ჩანართი .....I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 298-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2012